



## კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო  
უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

სტუდენტი

**გიორგი კუცია**

საერთაშორისო ტერორიზმი და ნატოს უსაფრთხოების

**პოლიტიკა**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: *ალიკა გუჩუა* -  
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, კსუ-ს ასისტენტი

თბილისი 2021

## ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება ნატოს მნიშვნელობას საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში. ტერორიზმი და მისი შედეგები ერთ-ერთ უმთავრეს და ყველაზე საშიშ პრობლემას წარმოადგენს, რომლის წინაშეც თანამედროვე მსოფლიო დგას. ეს ფენომენი, ამა თუ იმ ხარისხით, ეხება როგორც განვითარებულ, ისე ჯერ კიდევ განვითარებად ქვეყნებს. 21-ე საუკუნის რეალობაა ის ფაქტი, რომ ტერორიზმი სულ უფრო მეტად უქმნის საფრთხეს ქვეყნების უსაფრთხოებას, რასაც დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალური ზიანი მოაქვს. ნებისმიერი ქვეყანა, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს მისი მსხვერპლი. გასული საუკუნის განმავლობაში ტერორიზმი როგორც ფენომენი, მნიშვნელოვნად შეიცვალა. ტერორიზმს ხშირად უწოდებენ ჩვენი დროის გლობალურ პრობლემას, და მეცნიერთა და პრაქტიკოსთა პროგნოზები ტერორისტული საქმიანობის შემდგომი განვითარების შესახებ ნუგეშის მომცემი ნამდვილად არაა.

საერთაშორისო საზოგადოება შემფოთებულია ტერორისტული აქტივობის ზრდით, ტერორისტების მსხვერპლთა სიმრავლისა და ტერორით გამოწვეული უზარმაზარი მატერიალური ზიანის გამო. ტერორისტული საქმიანობა თანამედროვე პირობებში ხასიათდება ფართო მასშტაბით, მკაფიოდ განსაზღვრული სახელმწიფო საზღვრების არარსებობით, საერთაშორისო ტერორისტული ცენტრებით და ორგანიზაციებით.

კვლევის ობიექტი არის ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოში და ნატოს ანტიტერორისტულ პოლიტიკა. შესწავლის საგანია: ტერორისტული ორგანიზაციების

საქმიანობა და მისი გავლენა ქვეყნებზე, აგრეთვე ამ ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

ნაშრომში განხილულია ტერორიზმის წარმოშობის წინამძღვრები, საერთაშორისო ტერორიზმის როლი საერთაშორისო უსაფრთხოების არქიტექტურაში, ასევე

ნატოს ანტიტერორისტული პოლიტიკა, რაშიც მოიაზრება ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში.

## **Annotation**

### **International Terrorism and NATO Security Policy**

The paper presents the importance of NATO in the fight against international terrorism. Terrorism and its consequences are one of the major and most dangerous problems facing the modern world. This phenomenon, to one degree or another, applies to both developed and still developing countries. The reality of the 21st century is the fact that terrorism is increasingly threatening the security of countries, leading to great political, economic and moral damage. Any country, any person can become its victim. Terrorism as a phenomenon has changed significantly over the past century. Terrorism is often referred to as the global problem of our time, and the predictions of scientists and practitioners about the further development of terrorist activity are not really comforting.

The international community is concerned about the increase in terrorist activity due to the large number of terrorist victims and the enormous material damage caused by terrorism. Terrorist activities in modern conditions are characterized by a large scale, the absence of clearly defined state borders, international terrorist centers and organizations.

The object of research is terrorism in the modern world and NATO counterterrorism policy. Subject of study: terrorist organizations

Activities and its impact on countries, as well as measures to combat this phenomenon.

The paper discusses the origins of terrorism, the role of international terrorism in the international security architecture, as well as NATO's counterterrorism policy, which considers the role of the North Atlantic Alliance in the fight against international terrorism.

**Giorgi kutsia**

## სარჩევი

ანოტაცია .....	2
Annotation .....	3
შესავალი.....	6
<b>I თავი. საერთაშორისო ტერორიზმი და ნატოს ფაქტორი ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში.....</b>	<b>14</b>
1.1. საერთაშორისო ტერორიზმის არსი და ბუნება .....	14
1.2. ტერორისტული აქტების ტიპები, მათი მიზნები და განხორციელების მეთოდები.....	23
1.3. ნატოს თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ტერორიზმის წინააღმდეგ.....	28
<b>II თავი. საერთაშორისო ტერორიზმის გავლენა გლობალურ უსაფრთხოებაზე.....</b>	<b>31</b>
2.1. 9/11 ტერორისტული აქტი და თანამედროვე ტერორიზმის ევოლუცია.....	43
2.2. საერთაშორისო საზოგადოების როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში.....	52
2.3. საქართველოს როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში.....	57
<b>III თავი. ნატოს ანტიტერორისტული პოლიტიკა.....</b>	<b>59</b>
3.1. ნატოს სამშვიდობო მისიები და ბრძოლა ISIS თან.....	60
3.2 ნატოს როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში.....	64
<b>დასკვნა .....</b>	<b>69</b>

## შესავალი

დღესდღეობით საერთაშორისო უსაფრთხოების განვითარებისა და გამოწვევების ფონზე ტერორიზმთან ბრძოლა საკმაოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. თანამედროვე პერიოდში ტერორიზმი მთელი მსოფლიოსათვის ნომერ პირველ გამოწვევად რჩება. ტერორიზმი დღითიდღე ვრცელდება და უდიდესი მატერიალური თუ არამატერიალური ზარალის წინაპირობა გახლავთ. საერთაშორისო საზოგადოება შეშფოთებულია ტერორისტული აქტივობის ზრდით, ტერორისტების მსხვერპლთა სიმრავლისა და ტერორით გამოწვეული უზარმაზარი მატერიალური ზარალის გამო. ტერორისტული საქმიანობა თანამედროვე პირობებში ხასიათდება ფართო მასშტაბით, მკაფიოდ განსაზღვრული სახელმწიფო საზღვრების არარსებობით, საერთაშორისო ტერორისტულ ცენტრებთან და ორგანიზაციებთან კომუნიკაციისა და ურთიერთქმედების არსებობით. ჩვენი ნაშრომის მთავარი ასპექტი ეხება ტერორიზმთან ბრძოლის მექანიზმებს კერძოდ კი ნატოს ანტიტერორისტულ პოლიტიკას.

### თემის აქტუალურობა

ტერორიზმთან ბრძოლას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნატოს დღის წესრიგში. 2006 წლის რიგის სამიტზე ნატომ განაცხადა, რომ ტერორიზმი, ისევე როგორც მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, სავარაუდოდ, ალიანსის მთავარი საფრთხეებია მომდევნო 10-15 წლის განმავლობაში. საერთაშორისო საზოგადოების ტერორიზმთან ბრძოლაში მონაწილეობით, ნატო ეხმარება უზრუნველყოს თავისი წევრების უსაფრთხო ყოველდღიური ცხოვრება, სადაც ტერორისტული თავდასხმების ადგილი აღარ დარჩება, რომლის მსხვერპლიც ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

დღეს ნატოს მუშაობის მრავალი სფერო უკავშირდება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ალიანსი საერთაშორისო საზოგადოებას სთავაზობს ანტიტერორისტულ

ვარიანტებს. პირველი, ნატო არის ტრანსატლანტიკური მუდმივი საკონსულტაციო ფორუმი, სადაც კოლექტიური გადაწყვეტილებები მიიღება განხილვის გზით. მეორე, ნატოს აქვს სამხედრო ძალები და აქტივები, რომლებიც ალიანსს ეკუთვნის. მესამე, ნატო პარტნიორობის ფართო ქსელის ნაწილია სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

**თემის მიზანია** - თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს და კვლევის საფუძველზე მცირეოდენი დახმარება გაუწიოს ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს. კვლევის შედეგად გამოიკვეთება საერთაშორისო ტერორიზმის გავლენა გლობალურ უსაფრთხოებაზე და მისი ძირითადი ასპექტები, რის შედეგადაც განისაზღვრება ტერორიზმთან ბრძოლის მნიშვნელობა დღევანდელ რეალობაში და ნატოს წვლილი მის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

**კვლევის ამოცანაა** - წარსული ფაქტებისა და დღევანდელი რეალობის შესწავლის საფუძველზე ჩამოაყალიბოს ტერორიზმთან ბრძოლის ტენდენციები, ასევე სხვადასხვა გარემოებებისა და ფაქტორების ანალიზის საფუძველზე გამოავლინოს აქტუალური საკითხები, რომლებზეც ყურადღება ნაკლებადაა გამახვილებული და ნატოს როლის განსაზღვრა საერთაშორისო ტერორიზმისგან მომდინარე საფრთხეების განეიტრალების პოლიტიკაში.

აღნიშნული ნაშრომის **საკვლევი კითხვებია**:

- 1) რა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო ტერორიზმი გლობალურ უსაფრთხოებას და არის თუ არა შესაძლებელი მისი დამარცხება საერთაშორისო ჩართულობის გარეშე?
- 2) რამდენად მნიშვნელოვანია ნატოს როლი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში?
- 3) რამდენად ეფექტურია ტერორიზმის წინააღმდეგ ნატოს უსაფრთხოების პოლიტიკა?

საკითხის კვლევისა და შესწავლის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი **ჰიპოთეზა**:

ტერორიზმი 21-ე საუკუნეში საერთაშორისო უსაფრთხოების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად იქცა. აუცილებელი გახდა ერთობლივი ანტიტერორისტული კომპლექსური ღონისძიებების ჩატარება, რომლებშიც უდიდეს როლს ასრულებს ნატო. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ჩართულობის გარეშე შეუძლებელია ტერორიზმის დამარცხება. ამ უკანასკნელისთვის, მნიშვნელოვანია, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ სახელმწიფოს ჩართულობა, ვინაიდან საფრთხე ეხება სრულიად ცივილიზებულ სამყაროს. ტერორიზმის გავრცელებასთან ერთად გაიზარდა საფრთხეც, რამაც შესაბამისად უფრო მეტი მნიშვნელობა შესძინა საერთაშორისო თანამშრომლობასა და ორგანიზაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას მსოფლიოში, ნატო კი ამ საკითხში ძლიერია იმდენად, რამდენადაც მყარი და ქმედითია კავშირები მასა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის. ნატოს შესწევს უნარი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რომელსაც ის თანამედროვე პერიოდში ახორციელებს.

**კვლევის საგანია:** ნატოს პოლიტიკა სერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში.

**კვლევის ობიექტია:** ნატოს როლი გლობალური უსაფრთხოების დამკვიდრებაში.

სამაგისტრო ნაშრომის შესაქმნელად გამოვიყენე რამდენიმე კონკრეტული კვლევის მეთოდი, რომლებიც დამეხმარა საკვლევი თემის დახვეწასა და ფორმულირებაში: არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა, რაც გულისხმობს შედარებითი მეთოდის გამოყენებით წყაროების შერჩევას და საჭირო მასალის გამოყოფას, მონაცემთა სიზუსტის შეფასებას;

- ❖ შემთხვევის გარჩევა Case study - დამეხმარა რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში; ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად დაეფუძნა ემპირიულ კვლევას;



- ❖ თვისებრივი კვლევის მეთოდები;
- ❖ ისტორიულ-აღწერილობითი;
- ❖ პოლიტიკის კვლევის მეთოდი;
- ❖ მონაცემთა ანალიზი;
- ❖ ინტუიციურ-ლოგიკური მეთოდი;

კვლევის მეთოდოლოგია ეხება ნეორეალიზმის სკოლას, ბ. ჰომანის თეორიას ტერორიზმის შესახებ. აგრეთვე „სექიურითიზაციის კონცეფცია“, რომელიც უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლას უკავშირდება და თავის მხრივ ბარი ბუზანის და მათი თანამოაზრეების სახელებთან ასოცირდება.

ამასთანავე „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია, რომელიც ცნობილი ამერიკელი მკვლევარის რიჩარდ კოენის სახელს უკავშირდება და მასთან ერთად საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი უმთავრესი თეორია „ძალთა ბალანსის“ სახელით ცნობილი, რომელიც საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან გამომდინარეობს.

#### **ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:**

ნაშრომი საინტერესო იქნება იმ ანალიტიკოსთათვის, ვინც დაინტერესებულია საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოებით. აგრეთვე იგი დაინტერესებს საერთაშორისო უსაფრთხოების მკვლევარებს, მათ ვინც სწავლობს ან იკვლევს უსაფრთხოებას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში იკვეთება, რომ უპირველეს ყოვლისა კვლევა იქნება საჯარო და მის გამოყენებას შეძლებს ნებისმიერი სტუდენტი, მკვლევარი, დარგის სპეციალისტი, ექსპერტი თუ პრაქტიკოს-ანალიტიკოსი.

იგი შესაძლებელია, რომ დამატებით საკითხავ მასალადაც კი გამოიყენონ უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის საფეხურებზე. სასურველი იქნება საკვლევი თემის სამომავლოდ კიდევ უფრო გაღრმავება,

სხვადასხვა სახის რეკომენდაციების შემუშავება და მათი სხვადასხვა ფორუმებზე წარდგენა.

### ***სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა:***

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას ყველა ის მნიშვნელოვანი წყარო გახლდათ გამოყენებული, რომელსაც სადიპლომო თემასთან აქვს კავშირი.

საერთაშორისო თუ ადგილობრივ წყაროთა ნაწილი მოიცავს უმაღლეს ტერორიზმის განვითარების ზოგად შეფასებებს, ზოგიერთი მათგანი კი ეხება ზემოთ აღნიშნული თემის კონკრეტულ მიმართულებას.

კონკრეტული სალიტერატურო წყაროების განხილვისას შესაძლოა, რამდენიმე მსგავსი სახის კონკრეტული მასალა განვიხილოთ, რომელსაც ამ თემატიკასთან უშუალო შეხება აქვს:

***1) სუჯაშვილი.დ „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ.***

აღნიშნული ნაშრომი ტერორისტული საფრთხეებისა და მათი იდენტიფიკაციის საკითხში ერთგვარი სიღრმისეული კვლევაა.

წიგნში ტერორისტული ორგანიზაციებისა თუ კერძო პირების მიზნები, ამოცანები და ის გზებია განხილული, რომელსაც ტერორისტები „ტერორის“ დასათესად იყენებენ, წიგნში აგრეთვე საუბარია, როგორც მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაციებისა თუ ქვეყნების კონტრტერორისტულ საქმიანობაზე, აგრეთვე, მათ სამართლებრივ და კონცეპტუალურ მიდგომებზე. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს შესანიშნავ გზამკვლევს იმ სტუდენტთათვის, რომლებიც მსგავსი მიმართულებით მუშაობენ.

***2) გ.მადრაძე, ვ.მაისაია „21-საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა, „უნივერსალი“, თბილისი, 2017***

ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში უსაფრთხოების პრობლემებია განხილული გეოპოლიტიკური ანალიზის კუთხით.

მსოფლიოს პოლიტიკურ სისტემაში უდიდესი როლი ენიჭება სტაბილურობისა და მშვიდობის მიღწევის მიზნით გეოპოლიტიკური პროცესების შეფასებასა და მათ სამხედრო პოლიტიკურ ანალიზს, რაც დღესდღეობით უმთავრესი ქვაკუთხედაა მსოფლიო პოლიტიკური სისტემებისთვის.

ამავე ნაშრომშია მოყვანილი ის უმთავრესი სექტორები, რომლებიც უდიდეს გავლენას ახდენენ კაცობრიობის უსაფრთხოებაზე გლობალიზაციის პირობებში. ნაშრომის ავტორებმა დეტალურად განიხილეს : პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, ეკოლოგიური, საზოგადოებრივი და საინფორმაციო უსაფრთხოება. აქვე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო უსაფრთხოებასა და საერთაშორისო პოლიტიკას, რომელიც შეიცვალა პოსტბიპოლარული ეპოქის შემდეგ. მაგალითისთვის ავტორებს მოყვანილი ის საერთაშორისო ორგანიზაციები და გეოპოლიტიკური აქტორები ჰყავთ მოყვანილი, რომლებიც „ცივი ომის“ პირობებში ჩამოყალიბდნენ და რომელთა გარდასახვაც დროთა განმავლობაში მოხდა, თეორიიდან პრაქტიკამდე, როგორც „თანამშრომლობითი უსაფრთხოება“.

***3) ანთაძე.გ „სტრატეგიული კვლევები N2 “ გამომცემლობა „საუნივერსიტეტო წიგნი“ თბილისი, 2009 წელი.***

აღნიშნული ნაშრომი ერთ-ერთი საუკეთესო გზამკვლევაა მათთვის, ვინც საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებითაა დაინტერესებული.

ნაშრომის ავტორი ტერორიზმის შესახებ არსებულ დეფინიციებს დაწვრილებით გვაწვდის და დეტალურად ანალიზებს. მასში ავტორის თვალით დანახული ტერორიზმი, ტერორიზმის ახლებური ხედვაა აღწერილი. იგი ტერორიზმს განიხილავს, როგორც იდეოლოგიურ ფორმას და შესანიშნავად განიხილავს იმ გარემოებას, რომ ჩვენ ვერ შევეწინააღმდეგებით იდეოლოგიურ ომს კონვენციური საბრძოლო მოქმედებებით და იგი ცხადად საუბრობს იმაზე, რომ ამისათვის კომპლექსურ მოქმედებათა სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა დგას.

**4) სოფო ჩქოფია "საერთაშორისო ტერორიზმის ისტორიულ პოლიტიკური ასპექტები" გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2017 წელი**

წარმოდგენილი სახელმძღვანელო თანამედროვე გლობალური პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას - ტერორიზმს ეხება.

იგი ნათლად გადმოგვცემს მის ისტორიულ-სამართლებრივ თუ პოლიტიკურ ასპექტებს; რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილ ტერორიზმს; კიბერტერორიზმს; თანამედროვე ტერორისტების ფსიქოლოგიურ პორტრეტს; მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფებების იდეოლოგიას;

ნაშრომში ამასთანავე საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული მსოფლიო მასშტაბის ანტიტერორისტული კამპანიის სტრატეგიაა წარმოდგენილი, განხილულია მასთან ბრძოლის ტაქტიკა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

**5) John A. Lynn "Another Kind of War: The Nature and History of Terrorism" Yale University Press Publication date July 23, 2019**

ამ წიგნში მოცემულია გამორჩეული სამხედრო ისტორიკოსი ჯონ ლინის მთელი ცხოვრების მანძილზე ჩატარებული კვლევისა და სწავლების გამოცდილება ტერორიზმის შესახებ. ნაშრომში ლინი საუბრობს ტერორიზმის ევოლუციაზე დროის სხვადასხვა მონაკვეთში, განიხილავს ტერორიზმის კონტრასტულ ხასიათს. აღნიშნულ წიგნში იგი ამტკიცებს, რომ ტერორიზმის ისტორიისა და განვითარების ცოდნა აუცილებელია იმისათვის უფრო ზუსტად შევაფასოთ მომავალი საფრთხეები, და განვაავითაროთ მისი აღმოფხვრის გზები.

**6) Terrorism: A History (Themes in History) 2nd Edition by Randall D. Law Publication date 2016**

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელშიც დომინირებს ტერორიზმი, იმისთვის, რომ გავიგოთ მისი მნიშვნელობა და საფრთხის რეალური ხასიათი, აუცილებელია, ვიცნობდეთ მის ისტორიას.

რენალდ ლოუ აღნიშნულ წიგნში „ტერორიზმის ისტორია“ განიხილავს ტერორიზმს ფართო პოლიტიკურ, რელიგიურ და სოციალურ კონტექსტებში და ყურადღებას ამახვილებს მის განვითარებას უძველესი დორიდან XXI საუკუნემდე. „ტერორიზმი: ისტორია“ ში იგი წარმოაჩენს, თუ როგორ შეიცვალა სიტყვის განმარტება, როგორ განვითარდა ტერორიზმის ტაქტიკა და სტრატეგიები და როგორ მოერგნენ ტერორისტები სხვადასხვა ეპოქას. წიგნი ფართოდ მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა ჯიჰადისტური ძალადობა, სახელმწიფო ტერორი, ისრაელის/ პალესტინის კონფლიქტი, ჩრდილოეთ ირლანდია, ანარქო-ტერორიზმი და კუ კლუს კლანი, ასევე ნაკლებად ცნობილი მოძრაობები ურუგვაისა და ალჟირში, ასევე ტერორის გამოყენება ძველ რომში, შუა საუკუნეების ევროპასა და საფრანგეთის რევოლუციაში.

***7) NATO and Terrorism: Organizational Expansion and Mission Transformation by James W. Peterson. Publication date 2011***

პროფესორი პიტერსონი ოსტატურად აერთიანებს უსაფრთხოების მნიშვნელოვან გამოწვევებს, დაწყებული გლობალური ტერორიზმიდან გაგრძელებული ნატოს ცივი ომის შემდგომი მისიებითა და გაფართოებით. იგი განიხილავს ნატო-ს მიდგომებს, თითოეული ახალი წევრის შესაძლო წვლილის ალიანსის ტერორიზმთან ბრძოლაში მხარდაჭერად, ავტორი საუბრობს ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ და მის მნიშვნელობაზე პიტერსონი ასევე გამოხატავს გეოპოლიტიკური მოსაზრებების ნატოს მნიშვნელობაზე.

## **თავი I. საერთაშორისო ტერორიზმი და ნატოს ფაქტორი ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში**

ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე, რომელსაც არ გააჩნია საზღვრები, ეროვნული და რელიგიური განსხვავებები. ამიტომ, საერთაშორისო საზოგადოებამ მას ერთად უნდა ებრძოლოს. ნატო მონაწილეობს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამა თუ იმ მიმართულებით რისთვისაც იყენებს სხვადასხვა საშუალებებს. ალიანსის ანტიტერორისტული ქმედებები ხორციელდება გაეროს პრინციპებისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა დაცვის კანონის შესაბამისად.

ტერორიზმის მრავალმხრივი ხასიათი ნატოს აიძულებს, მასთან ბრძოლის მიზნით, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ, სამხედრო, ტექნოლოგიურ, სამეცნიერო და ეკონომიკურ საქმიანობებში. შედეგად, დღეს ნატოს მუშაობის მრავალი სფერო უკავშირდება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

ალიანსი საერთაშორისო საზოგადოებას სთავაზობს ანტიტერორისტულ მიდგომებს. პირველი, ნატო არის ტრანსატლანტიკური მუდმივი საკონსულტაციო ფორუმი, სადაც კოლექტიური გადაწყვეტილებები მიიღება განხილვის გზით. მეორე, ნატოს აქვს სამხედრო ძალები და აქტივები, რომლებიც მოკავშირე ქვეყნებს ეკუთვნის. მესამე, ნატო პარტნიორობის ფართო ქსელის ნაწილია სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

### **1.1. საერთაშორისო ტერორიზმის არსი და ბუნება**

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ტერორიზმი სხვადასხვა სახით წარმოგვიდგა. ტერორი და ტერორისტები უკვე საუკუნეზე მეტია არსებობენ

სხვადასხვა ქვეყანაში. ჩვენ ისტორიიდან გვახსოვს : ბართლომეს დამე, სიცილიური ვახშამი, განადგურებული რომის იმპერატორები,ოსმალეთის სულთნები და მრავლი სხვა.

ტერორისტები ყოველთვის არსებობდნენ. უძველესი ტერორისტული დაჯგუფება იყო სიკართა სექტა, რომლებიც პალესტინაში მოქმედებდნენ ახ.წელთაღრიცხვით I საუკუნეში. ისინი ანადგურებდნენ რომაელებთან მშვიდობის მომხრე ებრაელებს.

სიკარები იარაღად იყენებდნენ ხანჯალს, ან მოკლე მახვილს - შიკუს. ისინი იყვნენ ექსტრემისტი ნაციონალისტები, რომლებიც სოციალურ პროტესტს ხელმძღვანელობდნენ. სოციალური პროტესტი გულისხმობდა წინააღმდეგობას მაღალ და დაბალ ფენებს შორის.<sup>1</sup>

სიკარების მოქმედებებში ჩანს რელიგიური ფანატიზმისა და პოლიტიკური ტერორიზმის ნაზავი. მათ სწამდათ, რომ არსებული რეჟიმის დამხობის შემთხვევაში ღმერთი მოევიწყებოდა მათ და იხსნიდა მათ ხალხს ტანჯვისა და გაჭირვებისაგან.

იმავე იდეოლოგიას იზიარებდნენ ასასინები. საიდუმლო ორდენი, რომელიც დააარსა ჰასან იბნ საბაჰმა. XI საუკუნის მიწურულს ისმაილიტთა მუსლიმანურ სექტაში, ირანში შექმნილი საიდუმლო ორგანიზაცია. ისინი გამოირჩეოდნენ უკიდურესი სისასტიკით და ფანატიზმით. ჰაშიმის ზემოქმედების ქვეშ ახორციელებდნენ პოლიტიკურ მკვლელობებს. ორდენში იყვნენ თვითმკვლელთა ჯგუფები, რომლებსაც პოლიტიკური მკვლელობებისთვის იყენებდნენ. მათ სწამდათ, რომ თუკი მოკვდებოდნენ ბრძანების შესრულებისას ისინი სამოთხეში მოხვდებოდნენ.

ასასინების, ანუ ნიზარიების სათავეში იდგნენ მსხვილი ფეოდალები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ სუნიტ სელჩუკიანთა გამოჩენილ წარმომადგენლებთან

---

<sup>1</sup> Sicarii Jewish sect. p.1. <https://www.britannica.com/topic/Sicarii> (ბოლო ნახ. 24/04/21)

ბრძოლას. ძალთა ნაკლებობის გამო, ასასინები ინდივიდუალური მკვლელობის პოლიტიკას ახორციელებდნენ თავიანთი ფიდაების საშუალებით.<sup>2</sup>

ამის პარალელურად, ინდოეთში მოქმედებდა სხვადასხვა საიდუმლო საზოგადოება.

"უცნაური" სექტის წევრებმა აბრეშუმის ძაფით ანადგურებდნენ თავიანთ მსხვერპლს, მკვლელობის ეს მეთოდი მათ ქალღმერთ კალისტვის რიტუალურ მსხვერპლად მიაჩნდათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინეთში, საიდუმლო საზოგადოებები, ტრიადები, დაარსდა XVII საუკუნის ბოლოს, როდესაც მანჯურებმა დაიპყრეს ჩინეთის ტერიტორიის ორი მესამედი. ისინი თავდაპირველად დაფუძნდნენ, როგორც საიდუმლო საზოგადოებები მანჯუსთა მმართველობის დამხობისა და საიმპერატორო ტახტზე მინგების დინასტიის აღსადგენად.

მანჯურიული დინასტიის მმართველობის პერიოდში, ეს საზოგადოებები ფაქტობრივად გადაიქცნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტრუმენტად, რომლებმაც მიიღეს მრავალი ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქცია. ტრიადმა გააფართოვა მანჯუს დამპყრობელთა წინააღმდეგობის ფილოსოფია და მოწინააღმდეგეებად ასევე მოიყვანა "თეთრი ეშმაკები", განსაკუთრებით ინგლისელები.

ტრიადებმა არაერთხელ სცადეს სახალხო აჯანყება, მანჯუსებმა კი ეს მცდელობები სასტიკად აღკვეთეს. მე -19 საუკუნის დასაწყისში წითელი ურბანული აჯანყების შემდეგ, მანჯურებმა განსაკუთრებით სასტიკი სადამსჯელო ოპერაცია ჩაატარეს, როდესაც ასობით ათას ჩინელს მოჰკვეთეს თავი ნაწილი კი ცოცხლად დამარხეს. ამის გამო, ტრიადის მრავალი წევრი იძულებული გახდა თავშესაფარი მოეძებნა ჰონგ კონგში და შეერთებულ შტატებში. იმ დროისთვის, ჰონგ კონგის მოსახლეობის ორ-მესამედზე მეტი ბრიტანეთის ხელისუფლების დადგენილების თანახმად, სხვადასხვა ტრიადაში იყო. მე - 20 საუკუნის დასაწყისისთვის ტრიადის

---

<sup>2</sup> The Ismaili Assassins: A History of Medieval Murder by James Waterson – October 30, 2008 pp.120-127



არსებობის საფუძველი შეარყია მანჯუსის რეპრესიებმა, ტრიადაები თანდათანობით გადავიდნენ კრიმინალური მეთოდების გამოყენებაზე, რათა უზრუნველყოთ თავიანთი საქმიანობა: რაკეტირება, კონტრაბანდა, მეკობრეობა, გამოძალვა.

1911 წელს ტრიადის საქმიანობა პატრიოტულიდან კრიმინალურად გადაიქცა. ისტორიაში პირველად შეიქმნა სახელმწიფო, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ და მართავდნენ საიდუმლო კრიმინალური საზოგადოებების წევრები, რომლებიც ტრიადის ბოევიკების რაზმებს იყენებდნენ თავიანთი პოლიტიკური ოპონენტების დასასჯელად.<sup>3</sup>

ორი ყველაზე ცნობილი დოქტრინა, რომელიც ამართლებს ტერორს, არის "ბომბის ფილოსოფია" და "საქმით პროპაგანდა". "ბომბის ფილოსოფია" მე -19 საუკუნეში აღმოცენდა და მის მხარდამჭერად ითვლება გერმანელი რადიკალი კარლ ჰაინცგენი. იგი აგრეთვე მოიაზრება ტერორიზმის თეორიის ფუძემდებლად. ის დარწმუნებული იყო, რომ "კაცობრიობის უმაღლესი ინტერესი" ყოველგვარ მსხვერპლად ღირს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე უდანაშაულო ადამიანების მასობრივ განადგურებას ეხება. ჰაინცგენი თვლიდა, რომ რეაქციული მებრძოლებს უნდა გამოეყენებინა ისეთი იარაღი, რომლითაც ადამიანთა მცირე ჯგუფს შეეძლო მაქსიმალური ქაოსის შექმნა.

აღსანიშნავია, რომ სისტემატური ტერორისტული აქტები იწყება მე -19 საუკუნის მეორე ნახევარში. 70-90-იან წლებში ანარქისტებმა მიიღეს „საქმით პროპაგანდა“ და მათი მთავარი იდეა იყო ნებისმიერი სახელმწიფო ძალის უარყოფა და შეუზღუდავი თავისუფლების ქადაგება. ანარქიზმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მისი ძირითადი იდეოლოგიები იყვნენ : პრუდონი, შტირნერი, კროპოტკინი.

---

<sup>3</sup> Triad Chinese secret society. p.1 - <https://www.britannica.com/topic/Triad-Chinese-secret-society>  
(ბოლო ნახ. 24/04/21)

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ანარქისტები უარყოფენ არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ზოგადად ნებისმიერ ძალას, ისინი უარყოფენ სოციალურ დისციპლინას, უმცირესობის, უმრავლესობაზე დაქვემდებარების აუცილებლობას. ანარქისტები გვთავაზობენ ახალი საზოგადოების შექმნას სახელმწიფოს განადგურებით, ისინი აღიარებენ მხოლოდ ერთ ქმედებას - განადგურებას. 90-იან წლებში ანარქისტებმა აწარმოეს "საქმით პროპაგანდა" საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთსა და შეერთებულ შტატებში, ამინებდნენ მოქალაქეებს, რომლებსაც არაფერი ესმოდათ, რათა მათ საბოლოოდ დაეჯერებინათ ტერორიზმი, ექსტრემიზმი, ნაციონალიზმი, სოციალიზმი, ნიჰილიზმი, რადიკალიზმი და ანარქიზმი.<sup>4</sup>

ყოველივე ამას წინ უძღოდა რამდენიმე აფეთქება პარიზის სახლებში, რომელიც განახორციელა რავაჩოლმა იგივე ფრანსუა კუნიგშტეინმა. მან წარმოთქვა შემდეგი მონოლოგი: „რევოლუციის გზა სისხლიანია. ზუსტად იმას გეტყვით რაც მინდა, პირველ რიგში, მოსამართლეების ტერორი. როდესაც აღარ იქნება ის, ვისაც ჩვენი განსჯა შეუძლია, მაშინ ჩვენ დავიწყებთ ფინანსისტებსა და პოლიტიკოსებზე თავდასხმას. ჩვენ გვაქვს საკმარისი დინამიტი იმისათვის, რომ ავაფეთქოთ ყველა სახლი, სადაც მოსამართლე ცხოვრობს“. ეს "იდეოლოგიური ტერორისტი" სინამდვილეში ჩვეულებრივი კრიმინალი აღმოჩნდა, რომელიც ქურდობასა და კონტრაბანდას ეწეოდა.

1887 წელს „ნაროდნაია ვოლია“-ს პარტიის ტერორისტულმა ფრაქციამ სცადა იმპერატორ ალექსანდრე III- ის მკვლელობა პეტერბურგში. 1894 წელს იტალიელმა ანარქისტმა მოკლა საფრანგეთის პრეზიდენტი კარნო. 1897 წელს ანარქისტები ცდილობდნენ ავსტრიის იმპერატორის მკვლელობას და ესპანეთის პრემიერ-მინისტრის ანტონიო კანოვას მკვლელობას. 1900 წელს იტალიის მეფე უმბერტო

---

<sup>4</sup> საქართველოს პარლამენტის აპარატი-კვლევითი დეპარტამენტი. გვ.1.  
<https://iuristebi.files.wordpress.com/2011/07/e183a2e18394e183a0e1839de183a0e18398e18396e1839be18398e183a1-e183a8e18394e183a1e18390e183aee18394e18391.pdf> (ბოლო ნახ. 27/04/21)

გახდა ანარქისტული თავდასხმის მსხვერპლი. 1901 წელს აშშ-ს პრეზიდენტს უილიამ მაკკინლის კლავს ამერიკელი ანარქისტი.<sup>5</sup>

"ბომბის ფილოსოფიის" კონცეფციისა და "საქმის პროპაგანდის" გაგრძელება ფაშიზმის თეორიაში მივიღეთ, რომელიც მე -20 საუკუნის დასაწყისში იტალიასა და გერმანიაში გაჩნდა. ეს იყო ყველაზე რეაქციული ძალების ტერორისტული დიქტატურა,

რომელსაც ახასიათებდა ძალადობის უკიდურესი ფორმები, შოვინიზმი, რასიზმი, ანტისემიტიზმი, სამხედრო ექსპანსიის იდეები და სახელმწიფო აპარატის ყოვლისშემძლეობა. სისხლიანი ტერორი გაჩაღდა დემოკრატიულ და ლიბერალურ მოძრაობებზე, ნაცისტური რეჟიმის ყველა რეალური და პოტენციური მოწინააღმდეგე ფიზიკურად განადგურდა.

ფაშისტურ გერმანიაში შექმნილი დიქტატურის მექანიზმი შეიცავდა უკიდურესი სისასტიკით გამორჩეულ ტერორისტულ აპარატს: SA, SS, Gestapo, სახალხო ტრიბუნალი და ა.შ.

იტალიისა და გერმანიის გავლენით, ფაშისტური ტიპის რეჟიმები დამყარდა : ესპანეთში, უნგრეთში, ავსტრიაში, პოლონეთსა და რუმინეთში. ფაშიზმი სასიკვდილო საფრთხე იყო მთელი კაცობრიობისთვის, რის გამოც მრავალი ხალხის არსებობა ეჭვქვეშ დადგა. გამოყენებული იქნა ხალხის მასობრივი განადგურების გულდასმით შემუშავებული სისტემა, ზოგი შეფასების თანახმად, ევროპის კონცენტრაციის ბანაკებში იყო დაახლოებით 18 მილიონი ადამიანი.

**ტერორიზმის** ცნებები ფრიად მრავალრიცხოვანია, ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, მათი რიცხვი 200-ს მნიშვნელოვნად აჭარბებს.<sup>6</sup>

ექსპერტი დ. სუჯაშვილი მიიჩნევს, რომ ტერორიზმი არის ძალადობრივი ქმედების გამოყენება (როგორც მშვიდობის, ისე შეიარაღებული კონფლიქტების დროს) რათა წარმოიქმნას შიში - პოლიტიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური

<sup>5</sup> Кан Г. С. - Народная воля: Идеология и Лидеры, М. 1997 с. 67 - 68

<sup>6</sup> კუხალაშვილი დ., - „ტერორისტული ორგანიზაციები და მათი საქმიანობა“, თბილისი 2007 წ გვ.12

(მსოფლმხედველობრივი, სოციალური და პოლიტიკური) მიზნების მისაღწევად. ტერორისტული აქტი მიმართულია სამოქალაქო სამიზნეების (მშვიდობიანი მოსახლეობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და/ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები) წინააღმდეგ და მიზნად ისახავს მაქსიმალურ რეზონანსსა და ყურადღების მიპყრობას.<sup>7</sup>

საყურადღებოა ტერორიზმის ის განსაზღვრა, რომელიც მოცემულია ამერიკის შეერთებულ შტატების კოდექსის 22-ე მუხლში, თავი 2656 F (D).

იგი შემდეგნაირად ჟღერს: ტერმინი „ტერორიზმი ნიშნავს წინასწარ დაგეგმილ პოლიტიკურად მოტივირებულ ძალადობას, რომელიც ჩადენილია მშვიდობიანი პირების მიმართ სუბნაციონალური ჯგუფების და ფარული აგენტების მიერ, ჩვეულებრივ, საზოგადოებაზე ზომოქმედების მიზნით“.

ტერმინი „საერთაშორისო ტერორიზმი“ აღნიშნავს ტერორიზმს, რომელიც მოიცავს ერთზე მეტი ქვეყნის მოქალაქეებს ან ტერიტორიას.

ტერმინი „ტერორისტული ჯგუფი“ აღნიშნავს ნებისმიერ მოქმედ ჯგუფს, ან ჯგუფს, რომელსაც გააჩნია ქვეჯგუფები, რომლებიც საერთაშორისო ტერორიზმს ახორციელებენ“.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ ეს განსაზღვრა სტატისტიკისა და ანალიზისათვის შემოიღო და მას 1983 წლიდან იყენებს.<sup>8</sup>

ტერორიზმი პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ტაქტიკაა, რომელიც იდეოლოგიურად მოტივირებულ ძალადობის გამოყენებას გულისხმობს. ტერორიზმი არის ძალადობა დაშინების მიზნით. ტერორისტული ძალადობის საგანია ცალკეული პირები ან არასამთავრობო ორგანიზაციები. ძალადობის ობიექტი არის ცალკეული სახელმწიფო მოხელეების ან საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური მოქალაქეების (მათ შორის უცხოელი ან სხვა

---

<sup>7</sup> სუჯაშვილი დ., - „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“, თბილისი 2018 წ. გვ. 16

<sup>8</sup> ნაჭყებია ბ., „ტერორიზმი-ისტორია, დეფინიცია, ტიპოლოგია“ თბილისი 2019 გვ.12

სახელმწიფოების მოხელეების ჩათვლით) გარდა ამისა, კერძო და საჯარო საკუთრება, ინფრასტრუქტურა და სხვა.

ტერორისტული ძალადობის მიზანია ტერორისტებისთვის სასურველი მოვლენების განვითარების მიღწევა როგორცაა : რევოლუცია, საზოგადოების დესტაბილიზაცია, უცხო სახელმწიფოსთან ომის გაჩაღება, გარკვეული ტერიტორიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება, ხელისუფლების პრესტიჟის დაცემა, პოლიტიკური დათმობები ხელისუფლების ნაწილი, რომელიც გავლენას ახდენს ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე პოლიტიკური ან ეგოისტური მოთხოვნების მისაღწევად .

ტერორიზმი ასოცირდება ტერორიზმის უფრო ზოგად, ძირეულ კონცეფციასთან. ტერორი საზოგადოების მართვის გზაა დაშინების გზით. პოლიტიკური მოქმედების ამ მეთოდს შეუძლია მიმართოს როგორც სახელმწიფომ, ისე ორგანიზაციებმა (ან ძალებმა), რომლებიც საკუთარ თავს პოლიტიკურ მიზნებს უყენებენ. მრავალი წლის განმავლობაში დაშინების ტაქტიკა, მიუხედავად ტერორისტული მოქმედების ხასიათისა, განიმარტებოდა როგორც ტერორი. 1970-1980წწ მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა ტერმინოლოგიური განსხვავება ტერორსა და ტერორიზმს შორის. თანამედროვე მეცნიერებაში "ტერორი" განიმარტება როგორც არალეგიტიმური ძალადობა სახელმწიფოს მხრიდან მთლიან საზოგადოებასთან, ან დისიდენტებთან და ოპოზიციასთან მიმართებაში. "ტერორიზმი" არის უკანონო ძალადობის პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს მოწინააღმდეგე ძალებისა და ორგანიზაციების მიერ.<sup>9</sup>

ტერორი ეყრდნობა ძალადობას და მიაღწევს თავის მიზნებს ნებისმიერი აქტიური მოწინააღმდეგის დემონსტრაციული და ფიზიკური ჩახშობით. ტერორს მიმართავს ხელისუფლება, რომელიც ცდილობს არსებული სოციალურ-პოლიტიკური წესრიგის რადიკალურად შეცვლას. თავისი მნიშვნელობით

---

<sup>9</sup> The Corporate Security Professional's Handbook on Terrorism By : Edward Halibozek, Andy Jones, Gerald L. Kovaich, 28 Aug 2007 year pp. 4-5

”ტერორიზმის”, ”ტერორისტის”, ”ტერაქტის” ცნებები ასოცირდება ტერორთან, როგორც დაშინების პოლიტიკასთან. მათ პირველ რიგში განასხვავებს , ტერორისტული საქმიანობის სუბიექტი ანუ ტერორისტი, როგორც წესი, არ არის სახელმწიფო, არამედ ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ - ხელისუფლებაში მოსვლას , საზოგადოების დესტაბილიზაციას, რევოლუციას, ომის პროვოცირებას და ა.შ.

ტერორიზმის მთავარი მიზანია, ტერორისტულმა აქტმა საზოგადოებაში რეზონანსი გამოიწვიოს. ტერორიზმი ძირეულად დეკლარაციულია. ტერაქტის შესახებ ინფორმაციის ფართო გავრცელება, მისი ყველაზე განხილვად მოვლენად ქცევა, ტერორიზმის ტაქტიკის ძირითადი ელემენტია. შეუმჩნეველი ან გასაიდუმლოებული ტერაქტი კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას.

თანამედროვე ტერორიზმის მიზნები:

- სახელმწიფო პოლიტიკისა და სახელმწიფო სტრუქტურის ძალადობრივი შეცვლა, აგრეთვე ხელისუფლების დისკრედიტაცია საკუთარი ხალხისა და მსოფლიო საზოგადოების თვალში;
- კრიმინალთან ბრძოლის სახელმწიფო ძალისხმევის დისკრედიტაცია და ჩაშლა, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად მიღებული ზომების დისკრედიტაცია და ჩაშლა, მსოფლიო საზოგადოებაში დემოკრატიული სისტემის შექმნის შეფერხება;
- ეკონომიკური, მორალური და პოლიტიკური ზიანის მიყენება ინდივიდისთვის, საზოგადოებისთვის, სახელმწიფოსთვის.

თანამედროვე პოლიტიკური ტერორიზმის თავისებურებები მოიცავს შემდეგს: უცხოეთში მოქმედებები, გავლენის ობიექტი ყველაზე ხშირად არა პოლიტიკოსები, არამედ მოსახლეობაა; განსაკუთრებული სისასტიკე გამოწვეულია თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამოყენებით, უახლესი იარაღით და ა.შ. მნიშვნელოვან როლს თამაშობს მასმედია, როგორც

ტერორისტების შეხედულებების პროპაგანდის ინსტრუმენტი. მათი საქმიანობის გაშუქება, საზოგადოების ყურადღების მიპყრობა ტერორისტული ჯგუფების ლიდერების მიმართ.

თანამედროვე ტერორიზმი წინა პლანზე წამოვიდა არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ მსოფლიო პოლიტიკაში. დღეს ეს საფრთხეს უქმნის საერთაშორისო ურთიერთობების ნორმალურ განვითარებას, ქვეყნებისა და რეგიონების უსაფრთხოებას, ეს არის გლობალური პრობლემა, რომლის მოგვარება მხოლოდ მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს რესურსების გაერთიანებით შეიძლება.

## **1.2 ტერორისტული აქტების ტიპები, მათი მიზნები და განხორციელების მეთოდები**

ტერორიზმი არის მრავალგანზომილებიანი დანაშაული, რომლის მთავარი სამიზნე არის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მორყევა და ასევე თავდასხმების განხორციელება:

- ❖ მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა;
- ❖ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტების განადგურება;
- ❖ ბუნებრივი გარემოს განადგურება;
- ❖ ინფორმაციული გარემოს მოსპობა;
- ❖ სამთავრობო ორგანოების ჩამოშლა;
- ❖ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების გატაცება.
- ❖ ტერორისტული აქტები შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

**გატაცება.** გატაცება, როგორც ტერაქტის სახეობა, ჩვეულებრივ ხდება პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთქმულებით. როგორც წესი, გატაცებულია ცნობილი ან მნიშვნელოვანი ფიგურები, რომლებმაც აუცილებლად უნდა მიიპყრონ საზოგადოების ყურადღება: პოპულარული პოლიტიკოსები, მაღალჩინოსნები, ცნობილი ჟურნალისტები, დიპლომატები.

**შეიარაღებული შეტევა, ლეტალური შედეგის გარეშე მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის მიყენება.** ამას ახორციელებენ ტერორისტული ორგანიზაციები ფორმირების ეტაპზე, როდესაც ჯერ არ არის დაგროვილი მასშტაბური ოპერაციების ჩატარების გამოცდილება, ასევე აქტიურად მოქმედი ორგანიზაციები, რომლებსაც მხოლოდ შეიარაღებული ოპერაციების ჩატარების უნარის დემონსტრირება სჭირდებათ.

**მკვლელობის მცდელობა და მკვლელობა.** ტერორიზმის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდი. ეს ხორციელდება ცივი იარაღისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, შეიძლება განხორციელდეს ხალხის ბრბოზე მანქანების დაჯახებით.

**ძარცვა (ექსპროპრიაცია).** ხორციელდება როგორც ბრძოლისთვის საჭირო თანხების მოსაპოვებლად, ასევე პროპაგანდის მიზნით. ის უდიდეს მასშტაბებს იღებს რევოლუციური დესტაბილიზაციის პერიოდში.

**შენობების აღება.** ყველაზე ხშირად თავდასხმის ობიექტები ხდება საელჩოების შენობები, მთავრობის ოფისები, სხვადასხვა პარტიის ოფისები. ასევე ხშირია საავადმყოფოებსა და სკოლებზე თავდასმა მძევლების აყვანის მაგალითებიც. როგორც წესი, ტერორისტული ოპერაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ შენობის აღებით. თუ ტერორისტებისთვის ჩნაფიქრი წარმატებული აღმოჩნდება, მათ ეძლევათ შესაძლებლობა მძევლების საფარქვეშ დატოვონ აღებული შენობები და თავი დააღწიონ სამართალდამცავებს.

**სატრანსპორტო საშუალებების გატაცება:** თვითმფრინავი, გემი, მატარებელი, ავტობუსი, მანქანა. მსოფლიოში ყველაზე ხშირად თვითმფრინავების გატაცება, ასევე მოიხსენიება როგორც ” Skyjacking ”. Skyjacking ყველაზე ეფექტურია სხვა



სატრანსპორტო საშუალებების გატაცების ტიპებს შორის, ვინაიდან, პირველ რიგში, იგი სპეცსამსახურებს არ უტოვებს საშუალებას ტერორისტებზე თავდასხმები განახორციელონ, მძევლებზე თავდასხმის მაღალი რისკის გამო, მეორეც, საჰაერო ტრანსპორტი გაქცევის უფრო მოსახერხებელი საშუალებაა.

**აფეთქებები და ცეცხლის გაჩენა.** ტერორისტულ აქტებს აწყოვენ ყველაზე ხალხმრავალ ადგილებში: ბაზრებში, ვაგზალებზე, სტადიონებზე, სავაჭრო ცენტრებში, შენობებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა ადგილებში.

**კიბერტერორიზმი** (კიბერ ომი) არის შეტევა კომპიუტერულ ქსელებზე. ამ ფენომენის გაჩენა უკავშირდება კომპიუტერის როლის გაზრდას ცხოვრების ყველა სფეროში და ინფრასტრუქტურის ნორმალური მუშაობის დამოკიდებულებას კომპიუტერული ქსელების უსაფრთხოებაზე. კომპიუტერებზე თავდასხმა არასანქცირებული წვდომის საშუალებით ხორციელდება შესაბამისი ინსტიტუტების საბოტაჟისა და მუშაობის შეფერხების მიზნით.<sup>10</sup>

ამჟამად განიხილება ტერორისტების მიერ დანაშაულებრივი მიზნებისათვის : ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური იარაღის გამოყენების შესაძლებლობა.

**ბირთვული ტერორიზმი** გულისხმობს ბირთვული ნივთიერებების და რადიოაქტიური მასალების იარაღად გამოყენებას. ეს შეიძლება იყოს ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობა, ტერიტორიების დაბინძურება რადიოაქტიური ნივთიერებებით ბირთვული აფეთქების გარეშე, ტერაქტი ბირთვულ რეაქტორზე, მისი განადგურების და რადიოაქტიული დაბინძურების განზრახვის მიზნით.

**ბიოლოგიური ტერორიზმი** არის საომარი ბიოლოგიური საშუალებების გამოყენება (ბაქტერიები, ვირუსები, რიკცია) მოსახლეობის წინააღმდეგ, ადამიანების მაქსიმალური განადგურების მიზნით. ტერორისტული თავდასხმების ყველაზე

---

<sup>10</sup> What Is Cyber Terrorism?. P1 - <https://online.fdu.edu/program-resources/cybersecurity-and-cyber-terrorism/> (ბოლო ნახ. 28/04/21)

გავრცელებული და ხელმისაწვდომი ბიოლოგიური აგენტებია საშიში ინფექციების პათოგენები (მაგალითად, ჯილეხი, ჩუტყვავილა, ტულარემია).

**ქიმიური ტერორიზმი** გულისხმობს ქიმიური იარაღის ან საშიში ქიმიკატების გამოყენებას ტერორისტული მიზნებისთვის. ეს შეიძლება იყოს შეტევა მოსახლეობაში მასობრივი მსხვერპლის გამოწვევის მიზნით. ან ტერაქტი ქიმიური იარაღის გამოყენებით. რომელიც შეიძლება განხორციელდეს შანტაჟის,<sup>11</sup> ეკონომიკური ზიანის მიყენების, საკვების, წყლის შხამიანი ნივთიერებებით დაბინძურებითა და ა.შ.

**”თვითმკვლელი” ტერორიზმი.** ბოლო პერიოდში ფართოდ გავრცელდა ე.წ. ”თვითმკვლელი” ტერორიზმი. ”სუიციდური” ტერორიზმი არის სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვის სურვილი გარკვეული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ან ხალხის მასობრივი მკვლელობისთვის (შურისძიების ან დაშინების მიზნით). ამავე დროს, ტერორისტის მოქმედების განმსაზღვრელი პირობა, რომელმაც მიიღო ფსიქოლოგიური და სამხედრო-ფიზიკური მომზადება, არის მზადყოფნა თავი გაწიროს მასზე დაკისრებული დავალების შესრულების პროცესში.

ტერორისტული ჯგუფების მიგრაციის ზრდით ქვეყნებიდან, სადაც არსებობს კონფლიქტური სიტუაციები, საერთაშორისო ტერორისტული ჯგუფების ინფრასტრუქტურის გაჩენა და მათი ფინანსური შესაძლებლობების ზრდა, ტერორიზმმა უკვე შეაღწია ბევრ ქვეყანაში. ჯგუფები, რომლებიც იყენებენ ”სუიციდურ” ტერორიზმს, მოქმედებენ რელიგიური მრწამსის (მაგალითად, ისლამის), რელიგიურ-ეთნიკური ნაციონალიზმის ან ეროვნული ეთნიკური ნიშნის საფუძველზე.

ამჟამად აქტუალურია **ელექტრომაგნიტური ტერორიზმის** გამოყენების საფრთხე; ეს მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნა ძლიერი ელექტრომაგნიტური იმპულსი, რომელიც გავლენას ახდენს ცივილიზებული გარემოს დაუცველ ელექტრონულ

---

<sup>11</sup> Types of terrorist attacks. P1 - <https://www.twp.howell.nj.us/388/Types-of-terrorist-attacks> (ბოლო ნახ.28/04/21)

ელემენტებზე, ე.წ. კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე, რომლებიც წარმოადგენს ელექტრონული მოწყობილობას მრავალფეროვანი მიზნებისათვის - კომპიუტერიდან დამცავი სიგნალებისგან და კომუნიკაციიდან ამრიგად, კომპიუტერული ტერორიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ელექტრომაგნიტური ტერორიზმის განსაკუთრებული შემთხვევა მობილური მოწყობილობების გამოყენებით.

**კოსმოსური ტერორიზმი**, როგორც ჩანს, შორეული პერსპექტივაა, მაგრამ მზარდი თანამგზავრების რაოდენობა ორბიტაზე და მესამე სამყაროს ქვეყნების მიერ კოსმოსური ხომალდების შექმნა, ახლოვდება დრო, როდესაც ის ისეთივე რეალური გახდება, როგორც თვითმფრინავის გატაცება. კოსმოსური ტერორიზმის გამოყენება გულისხმობს, პირველ რიგში, თანამგზავრების და სხვა კოსმოსური ხომალდების განადგურებას ან ჩარევის შექმნას, რაც ხელს უშლის მათ ნორმალურ მუშაობას. მეორეც, ეს არის კოსმოსური ხომალდების ხელში ჩაგდება და გამოყენება ტერორისტების კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად ან ტერორისტულ ოპერაციებში გამოსაყენებლად.<sup>12</sup>

ტერორიზმის მანიფესტაციების ტენდენციები ისეთია, რომ ყველაზე აქტუალურია მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების საფრთხე, რადგან დღეს ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის კომპონენტები უფრო ხელმისაწვდომი გახდა, ვიდრე ეს იყო რამდენიმე წლის წინ. უფრო მეტიც, ქიმიური იარაღის წარმოება უფრო ხელმისაწვდომი, ადვილი და იაფია და უფრო კომპაქტურია ბირთვულ და ბიოლოგიურ მასალებთან შედარებით. შესაბამისად, ქიმიური იარაღის გამოყენება შეიძლება ყველაზე პერსპექტიული იყოს ტერორისტების თვალსაზრისით.

---

<sup>12</sup> THE THREAT OF SPACE TERRORISM IN THE CONTEXT OF IRREGULAR WARFARE STRATEGIES. P.12.

[https://www.researchgate.net/publication/340619959\\_THE\\_THREAT\\_OF\\_SPACE\\_TERRORISM\\_IN\\_THE\\_CONTEXT\\_OF\\_IRREGULAR\\_WARFARE\\_STRATEGIES#:~:text=and%20defines%20space%20terrorism%20as,those%20of%20a%20space%2D](https://www.researchgate.net/publication/340619959_THE_THREAT_OF_SPACE_TERRORISM_IN_THE_CONTEXT_OF_IRREGULAR_WARFARE_STRATEGIES#:~:text=and%20defines%20space%20terrorism%20as,those%20of%20a%20space%2D) (ბოლო ნახ. 1/05/21)

ელექტრომაგნიტური და კიბერ ტერორიზმის საშუალებების გამოყენების რეალური საშიშროება არსებობს. მართლაც, ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური ტერორიზმისგან განსხვავებით, ელექტრომაგნიტური ეფექტი ან კიბერშეტევა არ ტოვებს კვალს, არ საჭიროებს ტერორისტებისგან ინდივიდუალურ დაცვას და შენიღბვას. მოქმედებები შეიძლება განხორციელდეს ერთდროულად დიდი რაოდენობით, დისტანციურად და მობილური საშუალებების გამოყენებით.

სხვადასხვა სახის ტერორისტული აქტების განხორციელების საშიშროების რეალობა, ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა და საჭირო რესურსების, ძალებისა და საშუალებების ადრეული შექმნა, ტერორისტული მოქმედებების სხვადასხვა ვარიანტების წინააღმდეგ სწრაფი რეაგირებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს.

### **1.3. ნატოს თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ტერორიზმის წინააღმდეგ**

ტერორიზმის მრავალმხრივი ხასიათი ნატოს აიძულებს რომ მასთან ბრძოლის მიზნით, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა პოლიტიკურ, ოპერაციულ, კონცეპტუალურ, სამხედრო, ტექნოლოგიურ, სამეცნიერო და ეკონომიკურ ინიციატივებში. შედეგად კი დღეს ნატოს მუშაობის მრავალი სფერო უკავშირდება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ალიანსი საერთაშორისო საზოგადოებას სთავაზობს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ვარიანტებს. ამსთანავე ნატო არის ტრანსატლანტიკური მუდმივი საკონსულტაციო ფორუმი, სადაც კოლექტიური გადაწყვეტილებები მიიღება განხილვის საფუძველზე. ნატოს ასევე განკარგავს სამხედრო ძალებს და აქტივებს, რომლებიც მოკავშირე ქვეყნებს ეკუთვნის. ნატო პარტნიორობის ფართო ქსელის შემაერთებელი ნაწილია სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ნატოს თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ნაწილია რაც ხშირ

შემთხვევაში, ხელს უწყობდა ახალ კონტაქტებს ძიებას. რიგი პარტნიორი ქვეყნების წვლილი ნატოს ოპერაციებში, ასევე მათი ძალისხმევა ნატოს პროგრამების დახმარებით თავდაცვის რეფორმის ჩატარებისა ხელს უწყობს ტერორიზმის პრევენციას. გარდა ამისა, ნატო თანამშრომლობს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ინფორმაციის გაცვლისა და უფრო ეფექტური ანტიტერორისტული ზომების მისაღებად.

ნატო და მისი პარტნიორები მონაწილეობენ პრაქტიკულ თანამშრომლობის პროგრამებში, რომლებიც ხორციელდება ტერორიზმის წინააღმდეგ პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად (PAP-T).<sup>13</sup>

გეგმა განსაზღვრავს პარტნიორების ფუნქციებს, ასევე განსაზღვრავს ტერორიზმთან ბრძოლისა და ტერაქტების შედეგების დაძლევის ინსტრუმენტებს. მაგალითად, ნატო და პარტნიორი ქვეყნები თანამშრომლობენ საჰაერო სივრცის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, მათ შორის მონაცემთა გაცვლისა და კოორდინაციის პროცედურების მეშვეობით, ტერორისტული საფრთხეების გასაწინააღმდეგებლად.

ამ ღონისძიებებში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ როგორც პარტნიორმა ქვეყანებმა ასევე „ხმელთაშუა დიალოგის“ მონაწილეებმა და სხვა დაინტერესებულმა ქვეყნებმაც.

PAP-T მიიღეს პრადის სამიტზე 2002 წლის ნოემბერში და მას შემდეგ გეგმა განვითარდა და გაფართოვდა ნატოს წევრი ქვეყნების და მათი პარტნიორების საერთო მიზნებისა და ერთობლივი საქმიანობის შესაბამისად.

- 7) 2014 წლის პროტოკოლი, ერთგვარი დამატებითი ოქმი ”საჰაერო ხომალდის ბორტზე ჩადენილი დანაშაულისა და ზოგიერთი სხვა ქმედობათა შესახებ“
- 8) 1973 წლის ნიუ-იორკის კონვენცია „საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირების, მათ შორის დიპლომატების, წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების შესახებ“.
- 9) 1979 წელი ნიუ-იორკის კონვენცია „ტყვედ აყვანის შესახებ“.
- 10) 1980 წლის კონვენცია „რადიოაქტიური მასალისგან ფიზიკური დაცვის შესახებ“.

- 11) 2005 წლის „რადიოაქტიური მასალისგან ფიზიკური დაცვის შესახებ კონვენციის დამატება“.
- 12) 1988 წლის კონვენცია „საზღვაო ნაოსნობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების აღკვეთის შესახებ“.
- 13) 1988 წლის პროტოკოლი, რომელიც ერთვის კონტინენტურ შეღწეზე მდგარი უძრავი პლატფომის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების შესახებ კონვენციას.
- 14) 2005 წლის „საზღვაო ნაოსნობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების აღკვეთის შესახებ კონვენციის პროტოკოლი“.
- 15) 2005 წლის პროტოკოლი, რომელიც ერთვის კონტინენტურ შეღწეზე მდგარი უძრავი პლატფომის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების შესახებ კონვენციას.
- 16) 1991 წლის მონრეალს კონვენცია, „ასაფეთქებელი ნივთიერებების აღბეჭდვის შესახებ, მათი ადვილად აღმოჩენის მიზნით“.
- 17) 1997 წლის კონვენცია „ასაფეთქებელი ნივთიერებებით ჩადენილი ტერორისტული აქტების აღკვეთის შესახებ“.
- 18) 1999 წლის კონვენცია „ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ“.
- 19) 2005 წლის კონვენცია „რადიოაქტიური ნივთიერების გამოყენებით ტერორისტული აქტის წინააღმდეგ“.<sup>28</sup>

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სამართლებრივი ინსტრუმენტების ასეთი მრავალფეროვნება, არცერთი მათგანი ტერორიზმის საერთო დეფინიციას არ მოიცავს, ეს კი სახელმწიფოთა ერთიანი პოზიციის არარსებობითაა გამოწვეული. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით სახელმწიფოებს მოუწოდებენ, ტერორისტული ქმედების ორგანიზებაზე, წაქეზებაზე, დაფინანსებაზე, თუ წახალისებაზე, უსაფრთხო თავშესაფრის მიცემაზე, პასიური თუ აქტიური მხარდაჭერის განხორციელებაზე უარი თქვან.

---

<sup>28</sup> გაეროს 19 უნივერსალური იურიდიული ინსტრუმენტი და დამატებითი შესწორებები ტერორიზმთან დაკავშირებით, P.1. - <https://www.un.org/counterterrorism/international-legal-instruments> (ბოლო ნახ. 04/06/21)

2003 წელს „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის შემსწორებელი ოქმი“ იქნა მიღებული, რომლის შედეგადაც ტერორისტულ აქტად დასაკვალიფიცირებელი ქმედებების სია გაიზარდა. აღნიშნული ოქმით სახელმწიფოებს არამხოლოდ ორგანიზების, არამედ ორგანიზების მცდელობის დასჯა დაევალა.

2005 წლის 16 მაისს „ევროპის საბჭოს კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ“ იქნა მიღებული, რომელიც 01.06.2007 წლიდანაა ძალაში.

ამის შემდეგ ტერორიზმთან ბრძოლის განსამტკიცებლად რიგი რეკომენდაციები მიიღეს.

(European Convention on the Suppression of Terrorism) ევროპის კავშირი პირველი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელმაც ტერორიზმის გამოყენებადი დეფინიცია შეიმუშავა მასში გაერთიანებულ სახელმწიფოებს შორის. ეს დეფინიცია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდგომ იქნა მიღებული. ხოლო დაახლოებით 1 წლის შემდეგ, 2002 წლის 13 ივნისს მიღებულ იქნა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩო-გეგმა, რომელიც ტერორიზმის საერთო განმარტებას მოიხავეს და ამასთანავე ადგენს სახელმწიფოთა შორის კომპეტენციების გამოყოფას და იმ პირების დასჯას, რომლებიც ტერორიზმთან თანამშრომლობენ.

ჩარჩო-გადაწყვეტილება გახლავთ პირველი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც 57 არამხოლოდ ტერორიზმის დეფინიციას, არამედ მათთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს შეიცავს.

ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად ტერორისტულ ჯგუფად შეიძლება მოიაზრობოდეს შემდეგი: „ორზე მეტი პირისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაშია ჩამოყალიბებული და ტერორისტულ დანაშაულთა ჩასადენად ერთობლივად მოქმედებს. აღნიშნული სტრუქტურული ჯგუფი მოიაზრებს ჯგუფს, რომელიც შემთხვევით არაა შექმნილი დანაშაულის იმთავითვე ჩასადენად და რომელსაც წევრთა შორის ფორმალურად განაწილებული ფუნქციებისა და განვითარებული სტრუქტურის ქონა არ

სჭირდება”.<sup>29</sup> ზემოთ აღნიშნული, ჩარჩო-გადაწყვეტილება აგრეთვე სახელმწიფოებს შემდეგი სახის დანაშაულის დასჯას ავალდებულებს:

1. „ტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელობა“;
2. „ტერორისტული ჯგუფის ქმედებებში მონაწილეობა ან რაიმე სახით ხელშეწყობა/მონაწილეობა“.

ჩარჩო-გადაწყვეტილების მესამე მუხლი კი „ტერორისტულ ქმედებებთან დაკავშირებულ დანაშაულებს” მოიაზრებს. ამ მუხლის განმარტებები საერთაშორისო კონვენციებში არსებულ განმარტებებს ესადაგება, რომლებიც დანაშაულს ეხება.<sup>30</sup>

აშშ-ს კანონმდებლობა ტერორიზმის განმარტების მრავალ ვერსიას მოიცავს.

არსებობს, როგორც ფედერალური, აგრეთვე სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაკეთებული განმარტებები, რაც იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ აშშ-ის კანონმდებლობა ერთმანეთისგან შიდა და საგარეო ტერორიზმს განასხვავებს, აღსანიშნავია, რომ მოცემულ განმარტებებს შორის არ არსებობს არსებითი განსხვავება.

აშშ-ის ფედერალური კოდექსის 113ბ თავის განმარტებით, თავად ტერმინი „საერთაშორისო ტერორიზმი“ გულისხმობს იმ ქმედებებს, რომლებიც:

ა) მოიცავს ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშ ქმედებებს ან ძალადობრივ ქმედებებს, რაც შეერთებული შტატების ან/და სხვა ნებისმიერი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევას გულისხმობს.

ბ) განზრახაა ჩადენილი იმ მიზნით, რომ (I) დააშინოს ან აიძულოს მოსახლეობა, (II) ზემოქმედება მოახდინოს სახელმწიფოს პოლიტიკაზე აგრეთვე დაშინებით ან იძულებით, ან (III) ზემოქმედება მოახდინოს სახელმწიფოს ქმედებებზე ისეთი ხერხებით, როგორებიცაა : მასობრივი განადგურება, მკვლელობები ან გატაცება.

---

<sup>29</sup> სუჯაშვილი დ., - „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.58.

<sup>30</sup> სუჯაშვილი დ., - „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ. გვ.63-65.



გ) ძირითადად შეერთებული შტატების ტერიტორიული იურისდიქციის გარეთ ხდება, ან ეროვნულ საზღვრებს იმის გათვალისწინებით ცდება, თუ სად სრულდება ისინი ან ვის დაშინებას და იძულებას აპირებენ, სად მოქმედებდნენ შემსრულებლები, სად ეძებენ თავშესაფარს.<sup>31</sup>

## 2.3. საქართველოს როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის

### საქმეში

ქვეყნის დამოუკიდებლობის, უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის სტაბილურობისა და განვითარების სრულად უზრუნველყოფა ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში შესაძლებელია მხოლოდდამხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობით.

ამასადაამე, საქართველო საერთაშორისო სისტემის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობს და ამასთანავე გლობალური უსაფრთხოების განმტკიცებაში მონაწილეობს.

კერძოდ, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის, აგრეთვე შეიარაღებაზე კონტროლისა, ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და გაუვრცელებლობის უზრუნველყოფის საქმეში და იგი სამომავლოდაც აქტიურად განაგრძობს უსაფრთხოების გამოწვევებთან სისტემატიურ ბრძოლას.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საგარეო უწყების ძალისხმევა ერთგვარად მსოფლიოსთვის საქართველოს პოტენციალის ობიექტურად წარმოჩენისაკენ იქნება მიმართული.

---

<sup>31</sup> U.S. Code, Chapter 113B Terrorism. 2016. P.1. -

<https://uscode.house.gov/view.xhtml?path=/prelim@title18/part1/chapter113B&edition=prelim> (ბოლო ნახ. 06/06/21)

## საქართველოს წვლილის გაძლიერება საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში

საქართველო გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების ფორმატებში აქტიურად მონაწილეობს და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში საკუთარი წვლილი შეაქვს, რაც გამოიხატება ისევე, როგორც ფუძემდებლური პრინციპებისა და ვალდებულებების შესრულებაში, აგრეთვე, სათანადო შეთანხმებებსა და კონვენციებსა თუ საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობაში.

საქართველო არამარტო ევროატლანტიკური თანამეგობრობის ფასეულობათა სისტემას, არამედ კოლექტიური თავდაცვის პრინციპსაც იაზრებს.

2004 წლიდან 2014 წლამდე ქართველი სამხედროები ავღანეთის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში მონაწილეობდნენ - ჰელმანდის პროვინციაში (ISAF) უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალების ოპერაციაში.

2015 წლიდან ქართული მხარე ავღანეთში ნატო-ს ახალ მისიაში მონაწილეობს, რომელიც ცნობილია, როგორც - „მტკიცე მხარდაჭერა“ . საქართველო ევროკავშირთან თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობს. მას ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში საკუთარი წვლილი შეაქვს.<sup>32</sup>

საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით: საქართველოს მიერ წვლილის შეტანა ავღანეთში „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში გაგრძელდება. გაგრძელდება აგრეთვე ევროკავშირთან კონსულტაციები და მასთან ერთად ძალისხმევა, ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა თუ თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობის განვითარების მიზნით. მათ შორის, ევროკავშირის მისიებში საქართველოს სამოქალაქო და სამხედრო პირების მონაწილეობისა და აღჭურვილობით შესაძლო კონტრიბუციის უზრუნველსაყოფად.

<sup>32</sup> საქართველოს წვლილის გაძლიერება საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში, P.1. - <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/> (ბოლო ნახ. 06/06/21)

გაგრძელდება გაეროსთან კონსულტაციები, საქართველოს ძალისხმევა ევროკავშირთან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის კუთხით. ძალისხმევა ეუთოს ეფექტურობის გაზრდისა და მისი ქმედითი ჩართვის მიმართულებით უსაფრთხოების საკითხებში, ისევე, როგორც საქართველოს, აგრეთვე მთელი ეუთოს მასშტაბით.

გარდა ამისა, ხელი შეეწყობა ეუთო-ს ორგანიზაციის საქმიანობის ყველა სფეროში ქვეყნის უფრო აქტიურ მონაწილეობას. 2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას მოეწერა ხელი, ამ შეთანხმების საფუძველზეც საქართველო კვლავ სამართლებრივ ვალდებულებას იღებს, რომ ტრანსნაციონალურ დანაშაულობასთან ითანამშრომლოს.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების პრეამბულიდანვე ჩანს ის, რომ საქართველო ვალდებულია სხვა ხელმომწერ სახელმწიფოებთან ერთად უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს ტერორიზმის წინააღმდეგ.

„ვალდებულებას იღებენ რა, ებრძოლონ ორგანიზებულ დანაშაულსა და უკანონო ვაჭრობას (ტრეფიკინგს) საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებაში ტერორიზმთან განუხრელი ბრძოლის შესახებ რამდენიმე ადგილზე არის ხაზგასმული.“<sup>33</sup>

### III თავი. ნატოს ანტიტერორისტული პოლიტიკა

ნატოს უმაღლესი მთავარსარდლის შტაბში, ფუნქციონირებს ტერორიზმთან ბრძოლის საკოორდინაციო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია ღონისძიებების მთელი რიგი, რათა დაიცვან ყველაზე მოწყვლადი ობიექტები ექსტრემისტული გამოვლინებებისაგან. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემები განიხილება ნატოს ყოველწლიურ სესიებზე. დისკუსიების შემდეგ,

---

<sup>33</sup> საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, P.1. - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959> (ბოლო ნახ. 07/06/21)

როგორც წესი, მიიღება ზოგადი ხასიათის განცხადებები ან დეკლარაციები. ამ სფეროში პრიორიტეტად ითვლება ინფორმაციის გაცვლა და პრაქტიკა, ანტიტერორისტული ქვედანაყოფების სწავლება და მომზადება, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის, მეტროსა და სხვა კრიტიკულად მნიშვნელოვანი საშუალებების უსაფრთხოების გაძლიერება.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას G7 და შემდეგ G8 მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სამიტებზე, სადაც სხვადასხვა დონეზე განიხილება საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა. სახელმწიფოთა მეთაურების, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ფინანსთა და მათი ექსპერტების შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილებები ხორციელდება როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო მექანიზმებით, რომელშიც ეს სახელმწიფოები მონაწილეობენ. საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია სახელმწიფოთა მეთაურების მითითებები.

### **3.1. ნატოს სამშვიდობო მისიები და ბრძოლა ISIS თან**

ნატომ პირველი სამხედრო ოპერაცია „საზღვაო მონიტორი“ (Operation Maritime Monitor) ყოფილ იუგოსლავიაში 1992 წლის 16 ივლისს დაიწყო. იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციული რესპუბლიკის დაშლამ და ამის შედეგად გამოწვეულმა პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ და ომებმა იუგოსლავიის მასშტაბით, ნატოს მისცა საფუძველი, დაეწყო სამხედრო მოქმედებები საკუთარ საზღვრებს მიღმა. ეს ომები გახდა ნატოს შესაძლებლობების პირველი გამოცდა, ნატოს მრავალეროვნული ძალების ოპერატიული დაგეგმვისა და სამხედრო

ოპერაციების განხორციელებისა. ასევე მისი ძალებისა და ოპერატიული დაჯგუფებების განლაგებისთვის პოტენციური მტრის ტერიტორიაზე.<sup>34</sup>

ნატო-ს ბლოკმა სამხედრო ძალა პირველად უცხო ქვეყნის წინააღმდეგ 1994 წლის 1 მარტს ბოსნიაში გამოიყენა.<sup>35</sup> ოფიციალურად კი, ნატო მიიჩნევს, რომ პირველი სამხედრო ოპერაცია 1995 წლის 30 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე განხორციელდა. ოპერაცია სახელწოდებით - „გონივრული ძალა“ (Deliberate Force), როდესაც ასობით ტონა საჰაერო საბრძოლო მასალა გამოიყენეს იუგოსლავიის ტერიტორიაზე.<sup>36</sup>

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნატოს შემდგომი სამხედრო ოპერაციები, დღემდე გრძელდება.

მთელს მსოფლიოში დაახლოებით 140,000 ჯარისკაცი მონაწილეობს ნატოს მისიებში. ისინი მონაწილეობენ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ოპერაციებში სხვადასხვა გარემოებაში. ეს ძალები ამჟამად მოქმედებენ : ავღანეთში, ლიბიაში, ხმელთაშუა ზღვაში, აფრიკის რქაში, ერაყსა და სომალში.<sup>37</sup>

1991 წლიდან 2012 წლამდე ნატო მუდმივად მონაწილეობდა აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 35 ცალკეული ოპერაცია ჩატარდა სხვადასხვა ტერიტორიაზე, რომელშიც ნატოს არაწევრი ქვეყნებიც მონაწილეობდნენ. (მაგალითად, ლიბია) ისინი იყენებდნენ სხვადასხვა ოპერაციულ ძალებსა და აქტივებს. ნატოს განმარტების თანახმად, ოპერაციები კლასიფიცირდება, როგორც შემაკავებელი თავდაცვის ოპერაციები და კრიზისების მენეჯმენტი, კრიზისული რეაგირების ოპერაციები.

---

<sup>34</sup> დიეგო რუის პალმერი - ნატოს სტრატეგიული ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი, ნატოს უსაფრთხოების გამოწვევების განყოფილება. P.1.

<https://www.nato.int/docu/review/ru/articles/2012/05/07/dva-desyatiletija-operatsij-nato-podvodim-itogi-zaglyadyvaem-v-budushchee/index.html> (ბოლო ნახ. 07/06/21)

<sup>35</sup> The Christian Science Monitor - NATO's First Use.

P.1. - <https://www.csmonitor.com/1994/0301/01182.html> (ბოლო ნახ. 07/06/21)

<sup>36</sup> ნატოს ოპერაციები და მისიები. ნატოს პირველი სამხედრო ოპერაცია, P.1. -

[https://www.nato.int/cps/ru/natohq/topics\\_52060.htm](https://www.nato.int/cps/ru/natohq/topics_52060.htm) (ბოლო ნახ. 08/06/21)

<sup>37</sup> ნატოს ოპერაციები და მისიები, P.1. - [https://www.nato.int/cps/ru/natohq/topics\\_52060.htm](https://www.nato.int/cps/ru/natohq/topics_52060.htm) (ბოლო ნახ. 08/06/21)

ნატოს სამხედრო ოპერაციები იყოფა ორ ტიპად: სამშვიდობო ოპერაციები მშვიდობის შენარჩუნებისთვის და ოპერაციები მშვიდობის მიღწევის იძულებისთვის.

მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სამშვიდობო ოპერაციები ხორციელდება ყველა ძირითადი კონფლიქტის მხარეების თანხმობით და მიზნად ისახავს უკვე მიღწეული შეთანხმებების შესრულებას.

მშვიდობის იძულება კი, არ გულისხმობს დაპირისპირებული მხარეების თანხმობის აუცილებლობას მესამე ძალის ჩარევისათვის; ამ ოპერაციების დროს ნატოს შეიარაღებული ძალები გამოიყენება შეტევითი მიზნებისთვის სამხედრო დანაყოფებისა და კონფლიქტში მონაწილე შეიარაღებული ჯგუფების გასანადგურებლად.

2001 წლიდან ნატო ახორციელებს ოპერაციას „აქტიური ძალისხმევა“ (Active Endeavour) ხმელთაშუა ზღვაში იარაღისა და მასალების უკანონო ტრეფიკინგის აღსაკვეთად, რომელიც გამოიყენება მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, 2003 წლიდან ხელმძღვანელობს ავღანეთის უსაფრთხოებაშორისო ძალებს (ISAF) 2005 წლიდან ასრულებს ერაყის მისიას ერაყის უსაფრთხოების ძალების პერსონალის მოსამზადებლად, 2008 წლიდან მონაწილეობს აფრიკის რქის ანტიმეკობრეულ საერთაშორისო ოპერაციებში, 2011 წელს ლიბიაში - გაერთიანებული დამცველი (ერთიანი დამცველი) ოპოზიციური ჯგუფების მხარდასაჭერად.<sup>38</sup>

"ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია არის რიგი სახელმწიფოების ჩარევა ერაყში, სირიასა და ლიბიაში მიმდინარე კონფლიქტებში, ტერორისტული ორგანიზაცია "ისლამური სახელმწიფოს" გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

---

<sup>38</sup> ოპერაცია - „აქტიური ძალისხმევა“, P.1.- [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_7932.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_7932.htm) (ბოლო ნახ. 08/06/21)

2014 წლის ივნისსა და ივლისში ისლამური სახელმწიფოს (შემოკლებით IS) მიერ მიღწეული წარმატებების საპასუხოდ, რამდენიმე სახელმწიფომ დაიწყო ჩარევა სირიასა და ერაყში, შემდეგ კი ლიბიაში მიმდინარე სამოქალაქო ომში. 2014 წლის პირველი ნახევრის ერაყსა და სირიაში სწრაფმა ტერიტორიულმა დაპყრობებმა, ამასთან, საერთაშორისო მასშტაბით დაგმობილი სისასტიკითა და ადამიანის უფლებების დარღვევებით, ასევე სირიაში სამოქალაქო ომის შემდგომი მოულოდნელი შედეგების შიშით, ბევრი ქვეყანა იძულებული გახდა დაეწყო საბრძოლო მოქმედებები ISIS- ის წინააღმდეგ.<sup>39</sup>

ირანმა და მისმა მოკავშირეებმა თავდაპირველად მონაწილეობა მიიღეს სახმელეთო ოპერაციებში, რომელსაც მხარს უჭერდნენ გამანადგურებლები და უპილოტო საფრენი აპარატები. 2014 წლის ზაფხულის შუა რიცხვებში შეერთებულმა შტატებმა გაგზავნა ინსტრუქტორები ერაყში, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში და აგვისტოში დაიწყეს ფართომასშტაბიანი საჰაერო კამპანია.

2015 წლის 1 თებერვალს, ერაყის პრემიერ მინისტრმა გამოაცხადა, რომ ისლამური სახელმწიფოს ომი სინამდვილეში არის "მესამე მსოფლიო ომი", რადგან ISIS აცხადებს გეგმებს ომის გაგრძელებას ლევანტის მიღმა და "მსოფლიო ხალიფატის" შექმნის შესახებ<sup>40</sup>

2015 წლის 18 მარტს ისლამური სახელმწიფოს ტერორისტული დაჯგუფების ლიდერი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი დაიჭრა ანტიტერორისტული კოალიციური ძალების სამი მანქანიდან კოლონაზე ერაყსა და სირიას საზღვარზე თავდასხმის შედეგად.

---

<sup>39</sup> Lister, Charles - Not Just Iraq: The Islamic State Is Also on the March in Syria, The Huffington Post. P.1. [https://www.huffpost.com/entry/not-just-iraq-the-islamic\\_b\\_5658048](https://www.huffpost.com/entry/not-just-iraq-the-islamic_b_5658048) (ბოლო ნახ. 09/06/21)

<sup>40</sup> Fight against Islamic State is World War 3 - Iraqi foreign minister. Reuters. P.1. <https://www.reuters.com/video/watch/fight-against-islamic-state-is-world-war-id363066236> (ბოლო ნახ. 09/06/21)



2015 წლის 14 აპრილისთვის, საბრძოლო მოქმედებების შემდეგ, ერაყში თავდაპირველი ოკუპირებული ტერიტორიებიდან 25-30% (8-დან 9.6 ათასი კვადრატული კილომეტრი) დაკარგა.<sup>41</sup>

2015 წლის 30 სექტემბერს სირიის მთავრობის თხოვნით, რუსეთის ფედერაცია დაიწყო სირიის სამოქალაქო ომი, დაიწყო სამხედრო ოპერაცია ამ ქვეყანაში.

2017 წლის 9 დეკემბერს ერაყის პრემიერ მინისტრმა გამოაცხადა ქვეყნის სრული განთავისუფლება ISIS- ისგან.

2017 წლის 25 მაისს, ბრიუსელში ნატოს სამიტზე, გადაწყდა ალიანსის ძალების გაერთიანება ISIS- ის წინააღმდეგ კოალიციაში.<sup>42</sup> ამასთან, ეს არ ნიშნავს ნატოს ქვედანაყოფების პირდაპირ სამხედრო მონაწილეობას IS- ის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე საომარ მოქმედებებში.

### 3.2 ნატოს როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში

ნატოს მიღწევად შეიძლება ჩითვალოს ანტიტერორისტული მიზნებისკენ მიმავალი პროგრესი, კერძოდ, პოლიტიკური ხელმძღვანელობის მითითებების შემუშავება (2012) განახლებული სამხედრო კონცეფცია (2015)<sup>43</sup> სასწავლო-საგანმანათლებლო გეგმა (2015) და სამოქმედო გეგმები (2014, 2017, 2018)<sup>44</sup>. ეს საკითხი სულ უფრო მეტად აქტუალურია ნატოს მისიის და მის პარტნიორ

<sup>41</sup> Пентагон: Боевики ИГ потеряли контроль над четвертью территорий, захваченных в Ираке – Росбалт. P1 - <https://www.rosbalt.ru/main/2015/04/14/1388439.html/> (ბოლო ნახ. 09/06/21)

<sup>42</sup> Итоги саммита в Брюсселе ТАСС, 26 мая 2017. P.1. - <https://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/4283859> (ბოლო ნახ. 09/06/21)

<sup>43</sup> ნატოს სამხედრო კონცეფცია 2015. P.1. - [https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/topics\\_pdf/20160905\\_160905-mc-concept-ct.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/topics_pdf/20160905_160905-mc-concept-ct.pdf) (ბოლო ნახ. 09/06/21)

<sup>44</sup> NATO Education and Training Plan. P.1. - [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_49206.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49206.htm) (ბოლო ნახ. 09/06/21)



ორგანიზაციებთან ურთიერთობის წყალობით ტერორისტული აქტივობის ვარდნის ფონზე.

კონტრტერორიზმი არ არის ნატოს ძირითადი ფუნქცია, მაგრამ ითვლება, რომ ის ხელს უწყობს ალიანსის სამივე ძირითადი მისიის შესრულებას: კოლექტიური თავდაცვა, კრიზისების მართვა და კოლექტიური უსაფრთხოება. ასევე ეს განიხილება, როგორც ნატოს მიმდინარე პრიორიტეტებზე მუშაობის ნაწილი, ნატო-ს შეკავება და თავდაცვის გაძლიერება უსაფრთხოების განვითარებად გარემოში და სტაბილურობის პროექტირება კრიტიკულ ქვეყნებთან პარტნიორობის გაღრმავების და კრიზისების მართვის ზომების მიღებით.

აღსანიშნავია რომ ნატო მხოლოდ ერთერთი მოთამაშეა ტერორიზმის წინააღმდეგ ბღძოლის საქმეში თუმცა მას გააჩნია უნიკალური სიძლიერე, განსაკუთრებით სამოქალაქო და სამხედრო სფეროებს შორის, რომელიც განსაკუთრებით ღირებულია ამ გრძელვადიან ბრძოლაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნატო ამ რესურსებს სხვებთან ერთად კოლექტიურად იყენებს.

2016 წელს და შემდეგ 2018 წელს ევროკავშირსა და ნატოში თანამშრომლობის გაღრმავება დაიწყო.

დღეისათვის კი მიმდინარეობს ძლიერი ურთიერთობები და ოფიციალური შეხვედრები ევროკომისიის სხვადასხვა განყოფილების, ევროპის გარე მოქმედების სამსახურის ახლადშექმნილი ანტიტერორისტული ოფისის მონაწილეობით. ევროკავშირი და ნატო, ისევე როგორც ნატოს ყველა წევრი ქვეყანა და პარტნიორი ქვეყნები მუშაობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) გლობალური ანტიტერორისტული სტრატეგიის, მასთან დაკავშირებული ტექსტების კონტექსტში. თავდაპირველად გაეროსთან ერთად ანტიტერორისტულ სფეროში მუშაობა მიზნად ისახავდ პრაქტიკულ ურთიერთქმედებას გაეროს ნარკომანიისა და დანაშაულის ოფისთან ვენაში, ვიდრე სტრატეგიული და ოპერატიული თანამშრომლობა ნიუ იორკის საშუალებით რაც დროთა განმავლობაში იცვლება.

ნატო ჩაერთო ეუთოს ანტიტერორისტულ სამუშაოებში, განსაკუთრებით ისეთი ძლიერ მახარეში, როგორცაა საზღვრის უსაფრთხოება ცენტრალურ აზიასა და ბალკანეთში.

გაჩნდა ახალი ორგანიზაციები, რომლებსაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საკვანძო მნიშვნელობა გააჩნიათ, განსაკუთრებით გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი (GCTF), რომელიც 2011 წელს აშშ-სა და თურქეთის თანათავმჯდომარეობით შეიქმნა. ეს არის წმინდა სამოქალაქო სტრუქტურა, ამიტომ კარგია ევროკავშირისთვის რადგან GCTF წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის წყაროს წევრი ქვეყნების ფართო სპექტრისთვის (29 + ევროკავშირი) GCTF ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო შესაძლებლობების განვითარებაზე ისეთ სფეროებში, როგორცაა კანონის უზენაესობა, საზღვრის კონტროლი და ძალადობრივი ექსტრემიზმის დაძლევა.<sup>45</sup>

GKTF- ის პარტნიორი ორგანიზაცია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ფასდაუდებელ სამეცნიერო და საგანმანათლებლო დახმარებას უწევდა ნატოს, არის ანტიტერორისტული საერთაშორისო ცენტრი (ICTC) ჰააგაში და მისი ინსტიტუტები. <sup>46</sup>ცენტრმა და ცალკეულმა მეცნიერებმა მონაწილეობა მიიღეს მრავალ პროექტსა და ღონისძიებაში, რომელსაც მხარს უჭერს ნატოს პროგრამა „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“. ეს მოიცავს პროექტს, რომელიც ეხება ოპერაციულ თეატრებში სამოქალაქო საწინააღმდეგო ანტიტერორისტულ გადასვლებს, სემინარს ეგვიპტესთან ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე და ლექციებს კურსებზე, რომლებსაც უმასპინძლებენ ნატოს სკოლას ობერამერგუში და ანკარის ტერორიზმისგან თავდაცვის ცენტრში.

---

<sup>45</sup> Global Counter-Terrorism Strategy. P.1.- <https://www.nato.int/docu/review/articles/2019/05/16/working-with-partners-to-counter-terrorism/index.html> (ბოლო ნახ. 09/06/21)

<sup>46</sup> Information and Communications Technology Council (ICTC). P.1.- <https://www.ictc-ctic.ca/wp-content/uploads/2020/01/canada-eu-partnership.pdf> (ბოლო ნახ. 09/06/21)

ნატომ ასევე შეიმუშავა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი სამოდელო სასწავლო გეგმა. უნიკალურმა პროექტმა 100-ზე მეტი ექსპერტი გააერთიანა არა მხოლოდ მოკავშირეთა ქვეყნებიდან, არამედ იორდანიიდან, ტუნისიდან და მავრიტანიიდან. მოსალოდნელია, რომ სამოდელო გეგმა გახდება ერთ-ერთი მთავარი ელემენტი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალისტების მომზადებაში, როგორც ნატოს ქვეყნებში, ასევე ალიანსის პარტნიორ ქვეყნებში.

პირველი ანტიტერორისტული ცნობარის სასწავლო პროგრამა (CTRC) ნატოს წარუდგინა 2020 წლის 12 ივნისს. ალიანსის შტაბის სახალხო დიპლომატიის განყოფილების თანახმად, "CTRC ხელს უწყობს დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოებსა და პარტნიორებს ეროვნული უნარ-ჩვევების განვითარების და ანტიტერორისტული სტრატეგიების გაუმჯობესების შესაძლებლობებში."<sup>47</sup>

ნატოს ანტიტერორისტული განყოფილება, თავდაცვის განათლების განვითარების პროგრამის ექსპერტები და პარტნიორობა მშვიდობისათვის კონსორციუმში მონაწილეობდნენ ალიანსის ანტიტერორისტულ საკითხებზე სასწავლო გეგმის შემუშავებაში. არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, განსაკუთრებით გაერომ, ევროკავშირმა და ეუთომ, ასევე მონაწილეობა მიიღეს სასწავლო გეგმის შედგენაში, შემუშავებასა და რედაქტირებაში. ნატო დღეს აქტიურად უჭერს მხარს "ისლამური სახელმწიფოს" ტერორისტული ჯგუფების განეიტრალების სტრატეგიებს. აშკარაა, რომ ნატოს პირველი ტიპური ანტიტერორისტული სასწავლო პროგრამა ალიანსის კიდევ ერთი წვლილი იქნება სახალიფოს აგრესიული გეგმების წინააღმდეგ, რომელიც უნდა დაეხმაროს დაინტერესებულ ქვეყნებს თავიანთი შესაძლებლობების განმტკიცებაში და ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგიების გაუმჯობესებაში.

ტექნიკური და საგანმანათლებლო პროექტები, უდავოდ, ნატოს მომავლის ნაწილია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ტერორისტული

---

<sup>47</sup> COUNTER-TERRORISM REFERENCE CURRICULUM (CTRC) P.1 .- [https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/2020/6/pdf/200612-DEEP-CTRC.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2020/6/pdf/200612-DEEP-CTRC.pdf) (ბოლო ნახ. 09/06/21)

მებრძოლების დევნას. ნატოს პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა აუცილებელია საერთაშორისო ტერორიზმის დასამარცხებლად, ნათელია რომ ნატოს წვლილი გლობალურ ანტიტერორისტულ პოლიტიკაში უმნიშვნელივანესია და უკვე აღიარებულია მსოფლიო საზოგადოების მიერ .

**დასკვნა**

ჩემ მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში საუბარია ტერორიზმის წარმოშობასა და მის ევოლუციაზე, თუ, როგორ გაჩნდა იგი და როგორ გარდაიქმნა ლოკალურიდან გლობალურ პრობლემად. რას ნიშნავს საერთაშორისო ტერორიზმი და რა ზიანის მოტანა შეუძლია მას კაცობრიობისთვის. ნაშრომში განხილულია ნატოს როლი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში და მისი კავშირები დანარჩენ მსოფლიოსთან ტერორიზმის წინააღმდეგ.

ყველასთვის ცხადია, რომ ტერორიზმი არსებობს არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში, ინდონეზიაში, ფილიპინებსა თუ ახლო აღმოსავლეთში, არამედ ეს ფენომენი მთელ მსოფლიოში გავრცელდა და ახლა, ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი, არავინაა დარწმუნებული იმაში, რომ ის დაცულია ტერორიზმის საფრთხისგან.

ტერორიზმმა გავლენა მოახდინა მსოფლიოს პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ სფეროზე, რამაც თავის მხრივ გაამძაფრა მასთან ბრძოლის აუცილებლობა.

თანამედროვე მსოფლიოში, მაღალტექნოლოგიებისა და საერთო ინტეგრაციის ეპოქაში შეუძლებელია ტერორიზმთან ბრძოლა ერთიანი ძალისხმევის გარეშე. ამ ფენომენის აღმოსაფხვრელად აუცილებელია კოალიცია. დარტყმა უნდა იყოს მიზანმიმართული ტერორისტული საქმიანობის ყველა სფეროზე. იგი უნდა შედგებოდეს არა მხოლოდ სამხედრო , არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური ძალისგანაც.

**პირველი საკვლევი კითხვის პასუხი** შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: საერთაშორისო ტერორიზმი, როგორც ასიმეტრიული საფრთხე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დემოკრატიული ქვეყნებისათვის, მან არ იცის ნაციონალური და საერთაშორისო საზღვრები. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ საერთაშორისო ტერორიზმმა, როგორც ასიმეტრიულმა საფრთხემ, მიაღწია არამხოლოდ ხარისხობრივ, არამედ რაოდენობრივი განვითარების გარკვეულ

დონეს, როდესაც მისი დამარცხება შეუძლებელია საერთაშორისო ჩართულობის გარეშე.

*მეორე საკვლევლევ კითხვაზე* დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ დღევანდელ რეალობაში საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში არსებული მდგომარეობა სხვადასხვა აქტორებისა და საფრთხეების მზარდი რაოდენობის გამო საკმაოდ გართულდა.

ამ ფაქტიდან გამომდინარეობს ის, რომ ქვეყნებმა სულ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გაიღონ ერთმანეთთან თანამშრომლობისთვის, რითიც უნდა უზრუნველყონ უსაფრთხოების სხვადასხვა დონეები, როგორებიცაა ეროვნული, რეგიონალური და გლობალური. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს იმისა, თუ როგორ უწყობს ხელს საერთო ღირებულებების და ინტერესების არსებობა პოლიტიკურ და სამხედრო თანამშრომლობას, რომლის მიზანიც საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ნატოს, როგორც ერთ-ერთ მთავარ რეგიონულ და გლობალურ აქტორს უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში ვინაიდან მისი მიდგომები კონფლიქტების დარეგულირებაში და პრევენციაში არსებული მოცემულობიდან გამომდინარე იცვლიან ვექტორს და განიცდიან ადაპტაციას ახალი გამოწვევების გათვალისწინებით.

*მესამე საკვლევი კითხვიდან გამომდინარე* დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშვოთ, მიუხედავად იმისა რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის ნატოს ძირითადი ფუნქცია, ის აქტიურად არის ჩართული მის წინააღმდეგ გამართულ საერთაშორისო ღონისძიებებში, რაც ამავედროულად ხელს უწყობს ალიანსის სამივე ძირითადი მისიის შესრულებას, როგორცაა: კოლექტიური თავდაცვა, კრიზისების მართვა და კოლექტიური უსაფრთხოება. ასევე საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა განიხილება, როგორც ნატოს მიმდინარე პრიორიტეტებზე მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ნატო-ს შეკავების პოლიტიკა და თავდაცვის გაძლიერება უსაფრთხოების განვითარებად გარემოში, ასევე

სტაბილურობის პროექტირება, კრიტიკულ მდგომარეობში მყოფ ქვეყნებთან პარტნიორობის გაღრმავების და კრიზისების მართვის ზომების მიღება დიდ და ამასთანავე მნიშვნელოვან როლს თამაშობს. აღსანიშნავია, რომ ნატო მხოლოდ ერთ-ერთი მოთამაშეა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, თუმცა, მას გააჩნია უნიკალური ძალა, განსაკუთრებით სამოქალაქო და სამხედრო სფეროებს შორის, რომელიც მეტად ღირებულია ამ გრძელვადიან ბრძოლაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნატო ამ რესურსებს სხვებთან ერთად კოლექტიურად იყენებს.

*აღნიშნულ კვლევაში გამოთქმული ჰიპოთეზის დასტურად* შეგვიძლია ვთქვათ რომ საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების მთავარ გამოწვევას წარმოადგენს და საყოველთაო ჩართულობის გარეშე მის წინააღმდეგ ბრძოლა უშედეგოა, მის დასამარცხებლად საჭიროა ერთობლივი, კომპლექსური, ანტიტერორისტული ღონისძიებების ჩატარება. ხოლო აღნიშნული ღონისძიებები, ისეთი ეფექტურობის მქონე სამხედრო პოლიტიკური გაერთიანების გარეშე, როგორც ნატოა წარმოუდგენელი იქნება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანთაძე გ.,- „სტრატეგიული კვლევები N2 “ გამომცემლობა „საუნივერსიტეტო წიგნი“ თბილისი, 2009წ.
2. ავისტორბოეცი ე., გარემოსდაცვითი სამართალი - მოტივაცია საერთაშორისო თანამშრომლობაში. მოსკოვი მეცნიერება 2006 წ. გვ. 88  
[http://miel.narod.ru/olderfiles/1/Motivations\\_Wystorobets\\_q.pdf](http://miel.narod.ru/olderfiles/1/Motivations_Wystorobets_q.pdf) (ბოლო ნახ. 28/05/21)
3. კუხალაშვილი დ., - „ტერორისტული ორგანიზაციები და მათი საქმიანობა“, თბილისი 2007წ.
4. მალრაძე გ., მასიაია ვ.,- „21-საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017წ.
5. ქელდიშვილი გ.,- „ტერორიზმი და ტერორისტული აქტები“. - თბ. 2015წ.
6. სუჯაშვილი დ., - „საერთაშორისო ტერორიზმის ანატომია და საქართველო“ თბილისი 2018წ.
7. ჩიტაძე ნ.,- „ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“, გამოიცა პროექტის „ნატოს სწავლების“ ფარგლებში, თბილის, 2008წ.
8. ჩქოფოია ს., - ”საერთაშორისო ტერორიზმის ისტორიულ პოლიტიკური ასპექტები“ გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2017წ.
9. John A. Lynn - "Another Kind of War: The Nature and History of Terrorism" Yale University Press Publication date July 23, 2019
10. Terrorism: A History (Themes in History) 2nd Edition by Randall D. Law Publication date 2016
11. NATO and Terrorism: Organizational Expansion and Mission Transformation by James W. Peterson. Publication date 2011



12. Bruce Hoffman - „International Politics“, What is Terrorism?, Longman, New York, 2007 Year
13. The Ismaili Assassins: A History of Medieval Murder by James Waterson – October 30, 2008
14. The Corporate Security Professional's Handbook on Terrorism By: Edward Halibozek, Andy Jones, Gerald L.Kovacich , 28 Aug 2007

### გამოყენებული ინტერნეტ რესურსი:

1. დიეგო რუის პალმერი - ნატოს სტრატეგიული ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელი, ნატოს უსაფრთხოების გამოწვევების განყოფილება.  
<https://www.nato.int/docu/review/ru/articles/2012/05/07/dva-desyatiletija-operatsij-nato-podvodim-itogi-zaglyadyvaem-v-budushchee/index.html> (ბოლო ნახ. 07/06/21)
2. ნატოს ოპერაციები და მისიები. ნატოს პირველი სამხედრო ოპერაცია.  
[https://www.nato.int/cps/ru/natohq/topics\\_52060.htm](https://www.nato.int/cps/ru/natohq/topics_52060.htm) (ბოლო ნახ. 08/06/21)
3. ოპერაცია - „აქტიური ძალისხმევა“  
[https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_7932.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_7932.htm) (ბოლო ნახ. 08/06/21)
4. ნატოს სამხედრო კონცეფცია 2015.  
[https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/topics\\_pdf/20160905\\_160905-mc-concept-ct.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/topics_pdf/20160905_160905-mc-concept-ct.pdf) (ბოლო ნახ. 09/06/21)
5. დანაშაულისა და სხვა ქმედებების შესახებ საერთაშორისო კონვენცია, რომელიც განხორციელდა 09/14/1963; კონვენცია თვითმფრინავების უკანონო გატაცების აღკვეთის შესახებ, დათარიღებული 16.12.1970 წელს; საერთაშორისო კონვენცია მძევლების აყვანის წინააღმდეგ, 17/12/1979; დეკლარაცია საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრის ღონისძიებებზე (გენერალური ასამბლეის 09.12.1994 რეზოლუცია 49/60); დეკლარაცია, რომელიც ავსებს 1994 წლის დეკლარაციას

საერთაშორისო ტერორიზმის აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ (გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 51/210, 12/17/1996); საერთაშორისო კონვენცია ბოზინის ტერორიზმის აღკვეთის შესახებ, 12/15/1997; საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ, 09.12.1999; გაეროს გლობალური ანტიტერორისტული სტრატეგია, გენერალური ასამბლეის 20.09.2006 წლის რეზოლუციაში A / Res / 60/288 და სხვ. // [www.un.org](http://www.un.org) (ბოლო ნახ. 18/05/21)

6. გაეროს მაღალი დონის ჯგუფის ანგარიში საფრთხეების, გამოწვევებისა და ცვლილებების შესახებ - "უსაფრთხო სამყარო: ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა". 02.12.2004 წ [https://www.un.org/ru/events/pastevents/a\\_more\\_secure\\_world.shtml](https://www.un.org/ru/events/pastevents/a_more_secure_world.shtml) (ბოლო ნახ. 23/05/21)
7. გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის მოხსენება - „გაეროს გლობალური ანტიტერორისტული სტრატეგია: გაეროს სისტემის საქმიანობა გაერთიანებული ერების სტრატეგიის განსახორციელებლად. 2008 წლის 7 ივლისი <https://www.un.org/ru/sg/speeches/reports/68/report.shtml> (ბოლო ნახ. 24/05/21)
8. გაეროს 19 უნივერსალური იურიდიული ინსტრუმენტი და დამატებითი შესწორებები ტერორიზმთან დაკავშირებით <https://www.un.org/counterterrorism/international-legal-instruments> (ბოლო ნახ. 04/06/21)
9. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959> (ბოლო ნახ. 07/06/21)
10. საქართველოს წვლილის გაძლიერება საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/> (ბოლო ნახ. 06/06/21)
11. საქართველოს პარლამენტის აპარატი-კვლევითი დეპარტამენტი. <https://iuristebi.files.wordpress.com> (ბოლო ნახ. 27/04/21)

12. ქიმიური იარაღის გამოყენება სირიაში.  
<https://www.armscontrol.org/factsheets/Timeline-of-Syrian-Chemical-Weapons-Activity>  
 (ბოლო ნახ. 03/06/21)
13. გაერო: ტუნისში არეულობამ 219 ადამიანი იმსხვერპლა.  
<https://www.rbc.ru/society/01/02/2011/5703e2f19a79473c0df19cae> (ბოლო ნახ. 30.05/21)
14. ლიბიამ დაითვალა ომის მსხვერპლთა რაოდენობა //2011 წ.-30 აგვისტო  
<https://www.rbc.ru/society/30/08/2011/5703eb799a79477633d37299> (ბოლო ნახ. 03/06/21)
15. COUNTER-TERRORISM REFERENCE CURRICULUM (CTRC)  
[https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/2020/6/pdf/200612-DEEP-CTRC.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2020/6/pdf/200612-DEEP-CTRC.pdf)  
 (ბოლო ნახ. 09/06/21)
16. Global Counter-Terrorism Strategy.  
<https://www.nato.int/docu/review/articles/2019/05/16/working-with-partners-to-counter-terrorism/index.html> (ბოლო ნახ. 09/06/21)
17. The Christian Science Monitor - NATO's First Use.  
<https://www.csmonitor.com/1994/0301/01182.html> (ბოლო ნახ. 07/06/21)
18. The Partnership Action Plan against Terrorism  
[https://www.nato.int/cps/en/natolive/topics\\_50084.htm](https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_50084.htm) (ბოლო ნახ. 07/05/21)
19. The NATO-Russia Council (NRC) <https://www.nato.int/nrc-website/en/about/index.html> (ბოლო ნახ. 09/05/21)
20. Security Council Resolution 1540  
<https://www.nato.int/docu/review/2007/issue3/english/art3.html> (ბოლო ნახ. 13/05/21)
21. NATO Education and Training Plan.  
[https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_49206.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49206.htm) (ბოლო ნახ. 09/06/21)
22. U.S. Code, Chapter 113B Terrorism.2016.  
<https://uscode.house.gov/view.xhtml?path=/prelim@title18/part1/chapter113B&edition=prelim> (ბოლო ნახ. 06/06/21)

23. Sicarii Jewish sect <https://www.britannica.com/topic/Sicarii> (ბოლო ნახ. 24/04/21)
24. Triad Chinese secret society <https://www.britannica.com/topic/Triad-Chinese-secret-society> (ბოლო ნახ. 24/04/21)
25. What Is Cyber Terrorism? <https://online.fdu.edu/program-resources/cybersecurity-and-cyber-terrorism/> (ბოლო ნახ. 28/04/21)
26. THE THREAT OF SPACE TERRORISM IN THE CONTEXT OF IRREGULAR WARFARE STRATEGIES  
[https://www.researchgate.net/publication/340619959 THE THREAT OF SPACE TERRORISM IN THE CONTEXT OF IRREGULAR WARFARE STRATEGIES#:~:text=and%20defines%20space%20terrorism%20as,those%20of%20a%20space%2D](https://www.researchgate.net/publication/340619959_THE_THREAT_OF_SPACE_TERRORISM_IN_THE_CONTEXT_OF_IRREGULAR_WARFARE_STRATEGIES#:~:text=and%20defines%20space%20terrorism%20as,those%20of%20a%20space%2D) (ბოლო ნახ. 1/05/21)
27. Types of terrorist attacks <https://www.twp.howell.nj.us/388/Types-of-terrorist-attacks> (ბოლო ნახ. 28/04/21)
28. Fight against Islamic State is World War 3 - Iraqi foreign minister.  
<https://www.reuters.com/video/watch/fight-against-islamic-state-is-world-war-id363066236> (ბოლო ნახ. 09/06/21)
29. Lister, Charles - Not Just Iraq: The Islamic State Is Also on the March in Syria, The Huffington Post. [https://www.huffpost.com/entry/not-just-iraq-the-islamic b 5658048](https://www.huffpost.com/entry/not-just-iraq-the-islamic-b-5658048) (ბოლო ნახ. 09/06/21)
30. Information and Communications Technology Council (ICTC). <https://www.ictc-ctic.ca/wp-content/uploads/2020/01/canada-eu-partnership.pdf> (ბოლო ნახ. 09/06/21)
31. Высторобец Е.А.. Экологическое право-мотивации в международном сотрудничестве / Е.А.Высторобец Наука 2006.  
[http://miel.narod.ru/olderfiles/1/Motivations Wystorobets q.pdf](http://miel.narod.ru/olderfiles/1/Motivations_Wystorobets_q.pdf) (ბოლო ნახ. 28/05/21)
32. Пентагон: Боевики ИГ потеряли контроль над четвертью территорий, захваченных в Ираке –Росбалт. P1 [https://www.rosbalt.ru main/2015/04/14/1388439.html](https://www.rosbalt.ru/main/2015/04/14/1388439.html) (ბოლო ნახ. 09/06/21)

33. Итоги саммита в Брюсселе ТАСС, 26 мая 2017. <https://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/4283859> (ბოლო ნახ. 09/06/21)
34. The Global Terrorism Index. <https://www.prnewswire.com/news-releases/2015-global-terrorism-index-deaths-from-terrorism-increased-80-last-year-to-the-highest-level-ever-global-economic-cost-of-terrorism-reached-all-time-high-at-us529-billion-550766811.html> (ბოლო ნახ. 30/05/21)